

თავმჯ

N 60



საბოლოენი უხე საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ“. დამატება № 90.

ბატონ

წარიკითხ

ა. მიურ  
ა. ადოიათიძე

# საქართველოს პარლამენტი.

სტანდარტიული ანგარიში.

21 ბ  
1918/3

ცხ

60 სედრჩა.

სამშაბათი, ნოემბრის 12, 1918 წ. ფფილისი. სახელმწ.

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლა ჩხეიძე.

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივნი დაცი ღნიაშვილი.

პრეზიდიუმში არიან პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი იქ ბარათა შვილი და მდივნის ამხანაგი ისებებ აბაკელია.

კრება იწყება ნაშულდევის 12 საბოლოო და 25 წუთზე.

თავმჯდომარე, კრება გახსნილი გახლავთ. გთხოვთ მოისმინოთ დღიური წესრიგი.

მდივნი. (კითხულობს).

სოც.-დემ. ფრაქციის განცხადება.

საკონსტიტუციო კომისიაში ფრაქცია ჰეზავნის ლეო ნათაძეს, სამხედრო-ში ევგენი გეგეტელის მაგიერ—ფირცხალაიშვილს.

## დღიური წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ხაზინის მოწყობის კანონისა.

2. საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ქაღალდების შპეციალური ექსპედიციის ხარჯთაღიცხვის კანონისა.

მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

3. საბოლოო ტექსტი გასართობებზე შესავალ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემო ავლად ჩარიცხვის კანონისა.

მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

4. საბოლოო ტექსტი 1915 წ. ნოემბრის 22-ს კანონის შეცვლის კანონისა. მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

5. საბოლოო ტექსტი საბაზო დაწესებულებათა საქანცელარიო გადასაღის კანონისა.

მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

6. გაგრძელება მსჯელობისა სხვა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასცვლის შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

7. კანონ-პროექტი პირებულდაწყებითი სასწავლებულოს გადახს შესახებ. მომხსენებელია ნ. ცინცაძე.

8. საფინანსო ქონის ის დადგენილება — შაქარქე ერთდროული გადას დაწესების კანონ-პროექტის უარყოფის შესახებ.
- მომხსენებელია დ. თოფურიძე.
9. კანონ-პროექტი სახაზინო პალატათა გაუქმების და გადასახადოს სახელმწიფო ხაზინის სამსართველოს დაარსების შესახებ.
- მომხსენებელია 3. ქავთარაძე.
10. კანონ პროექტი გადასახადების იკრებისა. მომხსენებელია ა. ასათიანი.
11. კანონ პროექტი გადასახადთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელია 3. ქავთარაძე.
12. კანონ-პროექტი საქციზო უწყების ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელია დ. შარაშვილი.
13. კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთაფის ერთდროულ დამარტის შესახებ.
- მომხსენებელია 6. ცინცაძე.
14. შეკითხვა დაიუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისადმი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მილიონის სალიგვიდაციის ფონდის შესახებ.
15. შეკითხვა პარლ მენტის წევრთა 6. თარხანვისა და ლეონ თუმანოვისა იუსტიციისა და შანაგან საქმეთა მინისტრებისადმი, — სამართლის განუსაღელად პოლიტიკურ პატიო როთ გუდი მდივანისა და სხვ. სატუსალოში უბრალ დებოლ მშენებელის შესახებ.
16. შეკითხვა პარლ მენტის წევრის დ. დავიდხანოვისა შინაგან საქმეთა და სამხედრო მანისტრებისადმი თქა-თველოს რეპუბლიკის სამხედრო საიდუმლოების გამოქვეყნების საწრნააღმდეგო ზომების შესახებ.

### საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ხაზინის მოწყობის კანონისა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის შალვა ამირეჯიბს.

შალვა ამირეჯიბი. კანონი სახელმწიფო ხაზინის მოწყობისა საქართველოს რესპუბლიკაში. კ ნონ გ შეტრანს იქნა შემდეგი ცელილება: პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვა: (კითხულობს) არ! ებულ კანონში საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის, მის განყოფილებათა და მათ შტატების შესახებ შეტანილ იქმნეს შემდეგი ცელილება:

ჩვენ ეს მუხლი ასე შევასწორეთ: (კითხულობს) საქართველოს რესპუბლიკის ხაზინისა, მისი განწყობილების და შტატის აწინდელ კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცელილება:

შემდეგ პირველი პუნქტი ასე იყო მიღებული: (კითხულობს) ყველა ხაზინები დაიყოს როგორ.

ჩვენ აქ სიტყვა ყველა ამოვშალეთ.

პუნქტი გ) აქ ამოვშალეთ სიტყვა ყველილა და დავტოვეთ სიტყვა ზესტაფონი, როგორც უფრო ძველი სახელი.

2 მუხლი. აქ ჩვენ შევვალეთ ჩელულირ ის სიტყვები, რომელიც ერთხელ და სამუდაშობ აქვს მიღებული სარედაქციო კომისიის.

შტატების მაგივრად ვინარეთ: შტატი. ვინმარეთ მხოლოდითი რიცხვი.

3 მუხლი, — უცვლელიდ არის მიღებული.

საბოლოო შეცვლილი არის: არსებული კრედიტი — აწინდებლი კრედიტი.

ბატონებო, ამ კანონ-პროექტს დართული აქვს შტატები. ნება მომეცით წავიკითხო, თავიდან ბოლომდის, რადგანაც უკეთ განხილულიყო პარლამენტის მიერ და მიღებული. ჩვენ შევიტანეთ მხოლოდ ამნაირი ცელილებანი. მაგალითად ნახმარი იყო პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ბუნკალტციონი ჩვენ ვიხმარეთ ბუნკალტციონი.

ამის გარდა, სადაც კი მრავლობითი რიცხვი იყო ნახმარი ჩვენ ვიხმარეთ მხოლომითი რიცხვი.

ამ სეთი ცელილებები არის მიღებული.

თავმჯდომარებელი ვის ნებაც სიტყვა ამ ცელილების შესახებ? არავის. მაშასადამე სარედაქციო შესწორებანი ამ კანონ-პროექტისა მიღებული გახლავთ. შემდეგი კანონ-პროექტი.

საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ქალალდების მშექდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის კანონი.

შალვა ამირეჯიბი. სახელმწიფო ქალალდების მშექდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის კანონი.

პირველი მუხლი პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ასეა: (კითხულობს) დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაწესებული სახელმწიფო ქალალდების მშექდავ ექსპედიციის შტატები.

ჩვენ აქ სიტყვა განხორციელებულ იქნეს შეცვალეთ სიტყვით: შემოღებულ იქნეს.

მეორე მუხლი კანონისა გახლავთ მიღებული თითქმის სრულიად უცვლელად გარდა ზოგიერთ სიტყვის შეცვლისა.

ამასთანავე კანონს დართული აქვს შტატები. მე არ წავიკითხავ რამდენი ეცულენიან ექსპედიციაში მომუშავეთ ჯამაგირებით.

თავმჯდომარე, გთხოვთ წილითხოვ ცელილებები, რომელიც არის შეტანილი.

შალვა ამირეჯიბი. მაგალითად, ჩვენ შეცვალეთ პარლამენტის მიღებულ ტექსტში არის სიტყვა კრაიკლი, ჩვენ შეცვალეთ სიტყვა გრაფერი სიტყვა კარეგორია სიტყვით კათეკლი.

მერე არის პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში: მანქანაზე მშექდავი.

ჩვენ შეცვალეთ: მანქანით მშექდავი.

ამასარი ცელილება არის.

თავმჯდომარე ვის ნებაც სიტყვა ამ შესწორების შესახებ?

სიტყვა ეცულენის პარ ამნენტის წევრს ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე: (ს.-დ.) მოხსენებელმა სთქვა, რომ სიტყვა განხორციელებულ შეცვალეთ სიტყვით: შემოღებულ იქნეს. თუ არ უსცედები ესაა, არა მომხსენებელი: დიახ! მე მინდა გავიკო რა აზრი ჰქონდა სარედაქციო კომიტეტის კავშირისა სიტყვით კათეკლი.

ალ. ლომთათიძე: (ს.-დ.) მოხსენებელმა სთქვა, რომ სიტყვა განხორციელებული შესცვალი სიტყვით: შემოღებულ იქნეს ავიგია: სცელის ეს არსებითად კანონ-პროექტს თუ არა, იმიტომ, რომ კოდექსის ნიშნავს ჩემის აზრით იმას, რაც არსებობდა, ხოლო შემუიქნას იმას, რაც ცხოვრებაში გატარებული არ არის, რაც ახლად არის

შემოსაღები რაზედ არის აქ ლაპარაკი ვერ გავიგე; რა მოსაზრება ჰქონისა?

**შალვა აშირეჯიში.** პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტი ასეთი შინისაა (კითხულობს) დამტკიცებულ და ამა 1918 წ. ივნისის პირველიდან გხოვდის დამტკიცებულ იქნება ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაწესებული სახელმწიფო ქალალდების მდებარეობის შედეგის შტატები.

სარედაქციო კომისიამ ამინარიდ შესცვალა: (კითხულობს) დასტკაცებულ და ამა 1918 წ. ივნისის პირველიდან შემოღებულ იქნება ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაწესებული სახელმწიფო ქალალდების ჩატარების მდებარეობის შტატები.

როგორც, ბატონებო, ოქენე დაინახავდით აქ არავითარი არსებოთ ცვლილება არ არის ჩადენილი: სიტყვა განხორციელებული ორივე ტექსტში შეეხება შტატებს. მე მგონა, რომ შტატების განხორციელება არ შეიძლება შეიძლება შტატების შემოღება. შხვლოდ ამ აზრით არის ეს ცვლილება შემოტანილი.

**თავმჯდომარე.** ვინ არის წინააღმდეგი ამ ცვლილებებისა? არავინ. მიღულია. შემდეგი.

საბოლოო ტექსტი სათამაშო ქალალდზე სახელმწიფო მონოპოლის, დაწესების კანონისა.

**შალვა აშირეჯიში.** 1. მუხლი. (კითხულობს) 1. სათამაშო ქალალდის დამზადება საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებული სათამაშო ქალალდა გადაიდოს სახელმწიფო საკუთრებად. პარლამენტის შიერ მიღებული ტექსტში არის ნამარი სიტყვა ტერიტორიაზე.

სარედაქციო კომისიამ შესცვალა—სიქართველოს მიწა წყალზე. თუ ეს წესრიგება არ მოგწონთ შეიძლება ვინმართო: საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

**თავმჯდომარე.** პირველ მუხლში, ძველ მუხლში, სადაც იყო ნათევამი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელც მიღლო პარლამენტმა სარედაქციო კომისიას საქართველოს ტერიტორიის მავიგრად შემოაქვს: საქართველოს მიწა წყალზე. თუ ამის წინააღმდეგი არავინ იქნება, ამ შემთხვევაში ეს ცვლილება მიღებულ იქნება. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

საბოლოო ტექსტი გახსართობებზე შემოსავალ ბილეთების გადასაცილის ხაზის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის კანონისა.

**შალვა აშირეჯიში** (კითხულობს) კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრის გასართობებზე შესავლელ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ხაზის ცხვის შესახებ. მუხლი 1. გახსართობებში სანახაობაზე შემოსავლელ ბილეთებზე დაწესებული დროებით სახელმწიფო გადასახადი, აგრეთვე ამ გადასახადის გადახდის დეპულების დარღვევით და დარჩენილ გადასახადის შეუტანალობის გამოწვეული ჯარიძა ჩირიცხოს შემოსავლად სახელმწიფო გადასახადების ერთო წესით.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში არის ნათევამი გასართობების გიხმარეთ შხვლოებითი რიცხვი.

თაცმლებისარე. შემდეგი კანონ-პროექტი.

საბოლოო ტექსტი საბაჟო დაწესებულებათა საკანცელარიო გა-  
დახახადის კანონისა.

პირველი მუხლი პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ასეთი არის (კი-  
თხულობს) საბაჟოები ყოველ საბუთების შედგენაში და დაწერაში, როგორც  
არის გადახატანი მოწმობა, იარღივები, წერილობითი განცხადება, გახატანი  
დახახელაფი სია, კვიტანცია და სხვა მშვიდი საბუთები, ახდეგინებენ ცალკე  
საქანცელარიო გადახატადს, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ამ დოკუმენტი-  
ბის შედეგის და დაწერისათანავე, ან და ბაჟის შეტანის დროს გადახაზდე-  
ბისათვის დაწესდეს შემდეგი ნუსხა: 1 ყოველ წერილობითი განცხადებაში,  
საქანლის სიაში და გასატან სიაში გადახსდება ყოველ ას მანეთს 1 მან.

შენიშვნა: ყოველ არა სრულ ასეულ მანეთს იხდევინება 1 მან.

ჩვენ შეცვალეთ ასე (კითხულობს) საბაჟო, ყოველი საბუთის შედეგ-  
ნისა და დაწერისათვის, როგორც არის გადატანის მოწმობები, იარღივები,  
წერილობითი განცხადება, საზღვარ-გარედ გახატანი სია, კვიტანცია და სხვა  
მშვიდი სებუთები, ახდეგინებს ცალკე საქანცელარიო გადახატადს, რომელიც  
გადახდილ უნდა იქნეს ამ დოკუმენტების შედგენის და დაწერისათანავე, ან და  
ბაჟის შეტანის დროს ამ გადახაზდებისათვის დაწესდეს შემდეგი ნუსხა:

1. ყოველ წერილობითი განცხადების შემსატან-გასატანი და საქან-  
ლის სიისთვის უნდა გადახდილ იქნეს ყოველ ას მანეთს 1 მან.

შენიშვნა: ყოველ არა სრულ ას მანეთს უნდა გადახდილ იქნეს 1 მან.

მეორე მუხლი (კითხულობს) 2. საზღვარ-გარედ გასატან, საქანლის სიის-  
თვის, თუ გასატანი საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგა, საქანლის გან-  
ცხადებულ ფასის ყოველ ათას მანეთზე, ან ნიკლებზე 1 მან. აქ ჩვენ საზღვარ  
გარედ გახატან საქანლის სიისათვის მაგიკი მარდაპირი დაგენერირე: გახატან  
მოწმიანდაში.

მთელი ეს მუხლი ასე შევასწორეთ: 2. გასატან მოწმიანდაში, თუ გასატანი  
საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგან, ყოველ ათას მან. განცხადებულ სა-  
ქანლის ფასში გადახსდებათ 1 მან.

თავმჯდომარე გთხოვთ წაიკითხოთ ის ცელილებანი, რომელიც შეტანი-  
ლია არსებითად.

მომხსენებელი. მაგალითად: კანონში ნახმარია სიტყვა საბაჟოები, ჩვენ  
ვისმარეთ მხოლოდითი რიცხვი.

შემდეგ არის სიტყვა იქნას ჩვენ შეცვალეთ სატყვით იქნეს.

მესამე და მეორე მუხლში მხოლოდ სიტყვებია გადასმული ერთ ადგი-  
ლიდან შეორე ადგილს.

შეცვალებული. (კითხულობს) ყოველ ქალადის პირში (კოპიოში) კერ-  
ძო პროტო და საზოგადოებათ თითო გვერდზე, რომელიც უნდა შეიცავდეს არა  
უმეტეს 25 სტრიქონისა—1 მან. პარლამენტის მიერ არის ნახმარი სიტყვა  
პირი, ჩვენ პირში გამოვტოვთ და დავტოვთ სიტყვა კოპიო.

შენიშვნა (კითხულობს) ყოველი საბუთი, დახახელებული 1, 3 და 4 მუხ-  
ლებში, თუ ბაჟი საქონელზე 15 მანეთზე ნაკლებია, განთავისუფლებულია სა-  
კეცელარიო გადახაზდისაგან.

უცლელად არის მიღებული.



გაგრძელება მსჯელობისა სხვა და სხვა უწყ ბათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასცლის შესახებ.

თავმჯდომარე. შემდეგ გადავალთ იმ ამ კანონის განხილვის გაგრძელებაშე. (კითხულობს) სხვა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასცლის შესახებ. პარლამენტის წევრო, გ. ნუცუბიძევ თქვენ ხართ ჩაწერალი.

უკაცრავად, გ. გამაშვილის აზ გაფთავებია.

რევაზ გაბაშვილი. (დამოუკ. ერ. დემ.) ბატონებო, წარსულ კრებაზე მე სიტყვა შემაწყვეტილების, ამიტომ ვერ გავთავე ჩემი აზრი. დღეს მოგახსენებოთ.

საქმე იმაში, რომ ამ საკათხში ორი მხარე, ერთი პრინციპიალური, მეორე პრაქტიკული.

წარსულ კრებაზე მოგახსენებოთ, რომ უცნაური მდგომარეობა არის. პარლამენტის წევრი გ. ლეო ნათაძე იცავდა საკითხს, როგორც პრინციპიალური, და ბატონი მინისტრი კა მტკიცებდა, რომ მას პრინციპიალური ხასიათი კა არა აქვს, არაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. გამოცილდა, რომ დღეს დღეობით, როდესაც მიწად-მოქმედების სამინისტროს უკეთესი აპარატი აქვს, ხოლო განათლების სამინისტრო მეტად დატვირთულია საქმეებით, ეს მიწად-მოქმედების სამინისტროს სკოლები, სამეცნიერო სკოლები უნდა იყოს გადაუმული მიწად-მოქმედების მინისტრის ხელში.

წარსულ კრებაზე მოგახსენებოთ და ესლაც უნდა გავიმეორო, რომ ასე უცნაური მდგომარეობა არის სხვა და სხვა საკითხების გადაწყვეტა ხდება იმის და მიხედვით, თუ ესი რა გენერალიანება. მის უმეტეს არ არის ეს სამართლიანი და სასარგებლო, რომ ბატონი მინისტრი, არ ყოფი როგორ დავიჯეროთ ეს, მაგრამ, ალბათ არ იცნობს იმ კანონ-პროექტს, რომელიც ან მისი სახელი ან კომისიის სახელით არის შემოტანილი. კანონ-პროექტში არის პირდაპირი ნათქვამი, რომ არა მარტო ხელინდელი პრაქტიკული მოსაზრებით, სამეცნიერო სკოლები უნდა იყოს მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელში, არამედ მომავალშიაც, თუ იარსებებს ასეთი სკოლები, ანდა გაიხსნებიან უნდა იყვნენ მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელში. მაშასადამე, აქედან აშკარად სხანს, რომ ეს არის არა პრაქტიკული მოსაზრებით გადაწყვეტა, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროს აქვს ეკონომიკი, აქვს სხვა და სხვა ლაბორატორიები და მინდვრები, არამედ ეს არის გადაწყვეტა პრინციპიალური. ხიწად-მოქმედებებს სამინისტრო, —ის უწყება, რომელსაც აქვს კავშირი სამეცნიერო საქმეებით, და ამიტომ მის ხელში უნდა გადავიდეს ეს სკოლები. ორში ერთი: თუ ეს კანონ-პრიპიალური გადაწყვეტა არის, და ჩვენ, მაგალითად პარტია ნაციონალისტებისა და ჩვენი ფრაქცია არ არის წინააღმდეგი პრინციპიალური, რომ გვთავარგში კვლელი სკოლები იყოს მიკუთვნებული იმ სამინისტროში, რომელიც უშეფერება, მაგრამ თითონ ეს კანონ პროექტი შეიცავს იმ უცნაურობას, რომ ყველა სკოლები, რა გვარიც უნდა იყოს სამსახურო სკოლები, რეკინის უნდა სკოლები, ყველგვარი სკოლები მიკუთვნებული არის განათლების სამინისტროში. მხოლოთ ერთად ერთი სკოლებია სამეცნიერო სკოლები, რომელიც გამონაქონის შეადგენნ, და უნდა წაერთოს განათლების სამინისტროს. არაფრთო, არც პრაქტიკული, არც თეორეტიული მოსაზრებით, არაფრთო არ არის რომ საბუთებული. რად უნდა მოხდეს ეს?

აი, ჩვენი შეხედულობა ასეთია, რომ ეს სკოლები, როგორც სხვა ბი უნდა დარჩენ განათლების სამინისტროს ხელში, რადგანაც ის მრავბი

რომ განათლების ს სამინისტრო დატვირთულია კულტურით, და ზედმეტ ს კულტურული  
ლებს ვერ იყისრებს, სრულიად გასამართლებელი საბუთი არ არის, რადგანაც  
აქ გამოირკვა, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრო არა ნაკლებ დატვირთუ-  
ლია. მიწად-მოქმედების მანისტრმა ოვითონ განაცხადა, რომ მის სამინისტროს  
ბევრი საქმეები ძევს. მაში, რად გინდათ, რომ ეს საქმე დაემატოს? უნდა მო-  
გახსნით სწორედ ისეთი მდგომარეობა არის, რომ, იქნება მიწად-მოქმედების  
სამინისტრომ პირიქით თვითონ გვთხოვთ, რომ, რაც შეიძლება მეტი საქმეები  
ჩამოვართოთ და არა ავკიდოთ კიდევ მეტი საქმე.

ოქენე, ბატონები, რადგანაც უმრავლესობა შეადგენთ ინტერნაციონალისტებს, შესაძლებელია, არაფრად მიგანით ის სია, რომელიც აქ წაიკითხეს ამას წინად, რომ მთელი სამინისტრო შესდგენა უცხოელებისაგან. ამის შესხებ მინისტრმა და მერე მისმა ამხანაგმა გვითხრეს: ისეთი მდგომარეობა არის არა ორიგინალურ ამ სამინისტროსთვის, არამედ ისეთი მდგომარეობა არის სხვა სტანდარტული ამინისტროებშიაც. ეს იმიტომ, რომ ჩენ არ გვყავს სპეციალისტები, არ გვყავს მცოდნე ხალხი, ქართველები, რომ ჩვებათ ისეთ საქმეში. ეს რასა-ეკირველია სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ ვიტიქროთ ერთ წესს, რომ ჩენი მინისტრები იმდენათ გამოცდილი არიან ამ საქმეში, ქვეყნის მართველობაში, რომ მთელ სიქართველოში ვერ უშოვნიათ გამოცდილი ხალხი, მით უფრო, რომ თითან გამოცდალი ხალხნი არიან, მაგრამ ვიტიქროთ, დაუშვათ, რომ მართლა ჩენ მინისტრებს ვერ უშოვნიათ მცოდნე ხალხი, რომ მართლა საქართველოში არ გვყავს ზართლა მცოდნე ხალხი, არ გვყავს სპეციალისტები ამ სამინისტროსთვის, რომლის კათავეში ბ. ხომერიკი უდგას. მაშინ უნდა ვიტიქროთ სულ ადვილათ, რომ ამ ახალ დარგში, რომელსაც ვაკულობებით ჯამ სამინისტროს, ვერ გამოსხდებინან ისეთ პირებს საქართველოში, რომლებიც უნდა ჩააყენონ ასეთ საქმეში, მაშინ ჩენ ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეთ, რომ არა მარტო დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ყოვლად მიუღებელი არის და ყოვლად უვარებისი, რომ სამინისტროს განაგებდეს სრულიად უცხო ხალხი, არამედ უნდა დაგეპანონოთ, დავაწესოთ მერმისისათვის ის, რომ ჩენი მომავალი თაობა, რომელიც შევა სამეურნეო სკოლებში, იმისთვის თაობა, რომელსაც უმთავრესად დაეკისრება მომავალში საქმის წარმოება ჩენი ცხოველების უდიდეს და უმნიშვნელოეს დარგში უნდა აღიზარდოს ისევე, როგორც ნათქვამი იყო წარსულ კრებაზე, როგორც იზრდებიან ჩენში ტყის მკველები და მიწათ-მოქმედების სამინისტროს: დაბალი მოხელეები, ჩავინი მომავალი თაობა უნდა სწავლობდეს სხვა ენაზე, რუსულ ენაზე და არა ქართულ ენაზე. ამიტომ არავითარი გარანტია არა გვაქვს, არავითარი საშუალება ვიტიქროთ, რომ ბატონი ხომერიკი, რომელსაც დარაჯები და რეგისტრატორები ვერ უშოვნია საქართველოში, რადგანაც ამასაც თურმე დიდი სპეციალური ცოდნა სჭირია და ამიტომ იყო, რომ გამონახა უცხოელები—არავითარი გარანტია, არავითარი საშუალება არ გვაქვს, რომ სამეურნეო სკოლებში, სადაც უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი მომზადება არის საჭირო, ვიდრე ტყის დარაჯებისთვის, ამ სკოლებისთვის გამოსქებნის საჭირო პირებს ქართველებში.

Հռացես զ օցոյ մջամարտածա առև, մը մշոնու, հռմ սլունդ ։ Յոյշի գուց և մուսաթրեցու, հռացանց Յոյշի պայքած լուս լույսուն մնայուլուն առա պայքած, լուս-լույսուն Յոյշի մուսաթրեցու, հիշեն պնդա դաշտոցու յս սկոլոցի ցանառլուց առև սամոննու կրոննու.

თუ მიერთობთ ჩეენ ამას მხედველობაში, მე მგონია, რომ ეს პირველი მუხლი უნდა შეიცვალოს, აյ არია სიტყვები „გარდა სამეურნეო სკოლისა“ ეს სიტყვები სრულიად ამოშლილი უნდა იყოს.

თავშეჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა ნუ-ცუბიძეს.

ნუცუბიძე. ბატონებო, მიწად-მოქმედების მინისტრმა გამოაცხადა, რომ მას არ აკერძობს, რომ მის წინააღმდეგ ილაშვრებენ მემარჯვენენი, ხოლო ის დიდ გაკვირვებას გამოსთვეას, როდესაც მის წინააღმდეგ ილაშვრებს ჯგუფი, ესთებათ, უფრო მემარტენენ.

მე უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ აქ დიდი გაუგებრობა არის. გაუ-გებრობა მდგომარეობს, ამ შემთხვევაში, მაში, რომ შესაძლებელია რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი სრულ ნდობას უქადებდეს მთავრობას, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფი ვალდებული იყოს არასოდეს ხაზი არ გაუსეს მთავრობის ამა თუ იმ შეცდომის.

და თუ ჩეენ ესე გავიგეთ მთავრობისადმი ნდობის გამოცხადება, რომ შემ-დეგისთვის მოვისპოო ყოველივე გზა მთავრობის მოქმედების გარჩევისა. მაშინ ნდობის გამოცხადება მთავრობისადმი დიდი უაზრობა ყოფილა. და თუ უმრავ-ლესობის პარტიას ესე გაუგია ნდობის გამოცხადება, მაშინ პარლამენტის არ-სებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, მე ვფიქრობ, ბატონი მინისტრი ამ შემთხვევაში ღრმათ სცდება.

ყოველივე პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტში აქეს უფლება გამოსთვევას თავისი აზრი და პარტიაში გაატაროს ესა თუ ის სამინისტროს შექმედება მიუხედავათ იმისა თუ როგორ უყურებს საერთოდ მთავრობას. რა თქმა უნდა თუ მისი მიზანია მთავრობას უპირველად სახელი გაუტეხოს, მაშინ ასეთი გამოს-ვლა შესაფერისად იქნება პარლამენტის მიერ შეფასებული, მაგრამ როდესაც საქმიანი კრიტიკა ამა თუ იმ სამინისტროსი ასეთ კრიტიკის წინააღმდეგ გამოცხადება „ნდობა მთავრობისადმი“ ჯაუგებრობას ქვეშ და მთავრობის მოქმედების კრიტიკა სრულიად შეუძლებელი ხდება.

ეს სრულუად მიუღებელი არის და სრულიად შეუწყნარებელი.

ასეთივე გაუგებრობა იყო ნათაძის მიერ ნათევამი ამ საკითხის გამო. ნაცელათ სალი არგუინტებისა ბატონმა ნათაძემ აქ განაცხადა, რომ დემა-გოგიას მიმართეს მისმა მოწინააღმდეგებმა, და ისეთი სიტყვები ჭარბოსთვეს რომელიც მხოლოდ მემარჯვენებს შეეფერებოდათ.

რაც შეეხება პირებს, დემაგოგიას, უნდა ვთქვა, რომ თუ ტაბულარაზას კონსიტუციი განხორციელდა ჩეენ ათინურ დემაგოგს შეიძლება ანტიური მნი-შვნელობა დაუბრუნოთ და მაშინ ასეთი დემაგოგია მისაღებელი განდება.

რაც შეეხება მეორეს, აზრის იმის და მიხედვით შეფასებას, თუ ვინ ჭარ-მოსთვევა იგი მემარჯვენებ—ეს აზრი სრულიად მიუღებელი არის და არავითარი სერიოზულ არგუმენტს არ ჭარბადებს. მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ნათაძე განიცდის ერთგვარ გავლენას მატერიალურ მსოფლიო მხედველობისას, რომელსაც ჩეენ, რა თქმა უნდა, ადვილათ ვერ ვიზიარებთ და ჩეენ აზრს ამა თუ იმ ნივთს, და კერძოთ სკამს, არ უკავშირებთ. იმის და მის ხდებით სადა ვნივართ. ჩეენ ამას ანგარიშს არ უშევთ, ჩეენთვის მნიშვნელობა აქვს, და ანგარიშს უშევთ ნათევამ აზრს და არა ადგილს, მე ვფიქრობ, რომ ბატონი ნათაძე თოთონ დარწმუნებულია, რომ მისი აგრუმენტი არავითარ შე-თვევაში არ გამოდგება.



ყველა ამის შემდეგ კიდევ მინდა მივაჭურო ყურადღება იმას, რაც მომავალობის  
ხსენებელმა აქ სთქვა, და რის დაცვას შეეცადა ბატონი ნათაძე.

ზოგარი არგუმენტი მომხსენებელის მაერ წამოყენებული, იყო ორი რამ.  
პირველი: მიწათ-მოქმედების სამინისტროს უნდა მივაკუოვნოთ ეს სკოლები,  
ვინაიდან ამ სკოლების გაშოა-განვიაჩირება დაკავშირებულია იგრაზულ რეფორ-  
მასთან და აგრაზული რეფორმა კი დაკავშირებულია მიწათ-მოქმედების სამი-  
ნისტროსთან.

ბატონმა ნათაძემ მიკიცანა მე, რომ საკუარისად ლრმათ ვერ შევხედე სა-  
კითხს, როდესაც ვარკვევდით კავშირს აგრძრულ რეფორმის და სამეცნიერო  
სკოლის, მაგრამ მასში, რაც ბატონმა ნათაძე ილაპარაკა მე უფრო მეტი სილ-  
რმე ვერ დავინახე ამ ორ მოვლენის ურთიერთობაში. საქმე თუმცე შემდგები  
ყაფილა: აგრაზულ რეფორმას გამო მიწათ-მოქმედების სამინისტროში გადა-  
ვიდა ეკონომიკი, საცდელი მინდვრები, რომლებსაც თუმცე, მიწათ მოქმედე-  
ბის სამინისტრო გამიყენება სამეცნიერო სკოლებისთვის, მაგრამ სახალხო გა-  
ნათლების სამინისტრო კი ვერ გამოიყენება.

მე ვიცოდი, ბატონებო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია კერძო  
საკუთრების პრინციპს უაღრესად დაადგა, მაგრამ მე ორ მეგონა, რომ, როდე-  
საც საკითხა დადგებოდა სამინისტროების დაკის შესახებ, ისინა კერძო საკუ-  
თრების პრინციპის თეაღლაზრისით გადასჭირდნენ ამ საკითხს. მე ორ ვიცოდი  
რომ ეკონომიკი გადასცეს მიწად მოქმედების სამინისტროს კერძო საკუთრე-  
ბად, და მხოლოდ ამ სამინისტროს შეეძლება ისარგებლოւა ამ საკუთრებით.

ბატონებო, გამოდის, რომ მიწად-მოქმედების ხელში არის ის საშუალე-  
ბანი, რომლითაც მომავალში უნდა ეისარგებლოთ საქურნეო სკოლების მო-  
წყობისთვის და მეტა აზიანის შეუძლიან ამითი სარგებლობა. აქ საკუთრების  
'აკითხა ყოფილა და მეტი არაფერის. გაშინ უნდა ესთქვათ, რომ ყოველივე  
უწყების ყოველივე საქმე უნდა ექვემდებარებოდეს ფულასთა სამინისტროს, ვი-  
ნაიდან ყველა უწყებების საშუალებანი ფინანსთა სამინისტროს ხელში არის.  
ასეთი არგუმენტი არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება.

თქვენ რომ გეთქვათ მიწად-მოქმედების სამინისტროს აქვს განსაკუთრე-  
ბული აპარატი, რომელიც შეუძლიან თავისებურათ გამოიყენოს, და კარგად  
გამოიყენოს, — მაშინ ჩვენ თქვენს არგუმენტს მივიღებდით. მაგრამ, როდესაც  
თქვენ ამ არგუმენტზე მიგვითითოთ, ეს არგუმენტი ჩეინოვის სრულიად მიუღე-  
ბელია. უნდა მოგახსენოთ, რომ არსებითად ძალიან სცდება მომხსენებელი,  
როდესაც კითხვას ასე აყენებს.

თუ ცოტათი საკითხს ჩაუკირდებით დაინახავთ, რომ სანიმუშო და სამა-  
გალითო ეკონომიკი არავითარ შემთხვევაში იმ სახით არ გამოიყენება სამე-  
ურნეო სკოლებისთვის, როგორადაც წარმოდგენილი აქვთ საზოგადოები აქ. ბა-  
ტონებო, სამეცნიერო სკოლებისთვის საჭირო არის არა ეკონომიკური, არა უფ-  
რო დამუშავებული კარგათ მოწყობილი საქმე, არამედ ნაკერი მიწისა, რომელ  
ზედაც უნდა მოხდეს მომავალი მუშაობა. ის ამ მიწის ნაკერზე უნდა მოხდეს  
ეს შევი მუშაობა, რომლის პროცესში უნდა შეისწავლონ შეურნეობისა იმ მოწა-  
ფებამ, რომელიც იქნებიან სამეცნიერო სკოლაში.

რაც შეეხება უკვე შეემნილ ეკონომიკის, რაც შეეხება უკვე დამთავრე-  
ბებულ მოწყობილ მიწებს, ამათ მარტო და მხოლოდ სანიმუშო და საჩერებელი  
სკოლასიათი აქვთ და არა სამეცნიერო. მე ვიტვობ, რომ საქმის კარგა დაყენება შეი-  
ძლებოდეს თუ სხვა ნიაზაგზა დააყენეთ საკითხი.

დამეთანხმეთ, საპარიქმახეროში რომ კაცი შევიდეს, არ მისცემს თავის

თავეს პატარა მოშაფეს, რომ სანიმუშით საჩერებელი გახადის თავისი თეკი, და მას ხელობა ასწავლოს. მე ვიტარობ, რომ დაახლოვებით ისეთი ძღვომა-რეობა არის აქცი. სანიმუშო, უკვე დამთავრებული ეკონომიკით, რომელიც სა-მინისტროს ისე სჭირია, როგორც სანიმუშო, სადემონსტრაციო საჩერებელი ადგილები, შეიძლება იყოს მიწად მოქმედების ხელში, რადგანაც მათი მარტო ნახეა და დათვალიერება არის საჭირო. მაგრამ თითონ ზევნ მუშაობისთვის რომ ეს ეკონომიკით გამოიყენოთ, თქვენ მხოლოდ გააფუჭებთ და გააპარტახ-ებთ. (ხმა: უკვე გააფუჭეს!) და ახლო მომავლში აღმად სრულიად ლაილუკე-ბა ეს ადგილები მით უმეტეს, რომ თქვენ გულისხმობა არა უმაღლეს სამეურ-ნეო სკოლების გახსნას, არამედ და საშუალო სკოლებისას. ამ სკოლებში ბავ-შვები იქნებიან, რომელთაც მუშაობა სრულიად არ იციან, და ძალიან ბევრი წესებიც, რომ შემორღოთ, თქვენ ამ ეკონომიკისაგან გარდა გავერანებულ ვე-ლებისა არაფერი აღარ დაგრჩებათ თქვენ ნითლად ვერ წარმოგიდგნიათ, რა მნიშვნელობა აქვს ამ დაბალ სკოლებისთვის ეკონომიკის. თქვენ ფიქრობთ რაღაც კარგი ეკონომიკითა ამის გამოყენება სკოლებისთვის შეიძლება. თქვენ კარგათ იცით, რომ კარგი რამის გაფუჭება ადგილად შეიძლება ამ გზით, რო-მელზედაც თქვენ დადგეთ.

ამის გარდა, ბატონებო, მეორე არგუმენტია, რომელზედაც ეჭყარება მო-მხსენებელი, ეს არის ეგროპას მაგალითი. უნდა მოგახსენოთ, რომ დასავლეთ ეკროპის დიდი ნაწილი სამეურნეო სკოლებისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში არის, მაგრამ ეს არ არის საყოველოთი და სავალდებულო კინონი ამავე დასავლეთ ეკროპაში. დასავლეთ ეკროპაში სამეურნეო სკოლები არის, როგორც განათლების სამინისტროს ხელში, აგრეთვე კერძო პირების და კერძო საზოგა-დოების ხელში, თუ მომხსენებელი ამის წინააღმდეგ მტკიცებას დაიწყებს, მე მაგალითებს წარმოუდგენ, მაგრამ არ შეიძლება დაწყოს, ვინაიდან იცის, რომ საქმის მდგომარეობა მართლა ასეთი არის. საერთო წესი დასავლეთ ეკროპაში არ არსებობს. როგორც მოგახსენოთ, ეს სკოლები არის, როგორც სამინისტროს ხელში, ისე კერძო დაწესებულებების და კერძო საზოგადოების ხელში. მაგრამ უნდა მოგახსენოთ ტენდენციის შესახებ, ტენდენცია კი დასავლეთ ეკროპაში მე ამას გაცხადებ, რომ თუ იმ მასალებს მხედველობაში მივიღებთ, რომელიც მომხსენებელმა იცის, და მიიღებს უკველად მხედველობაში,—რომ ტენდენცია დასავლეთ ეკროპაში ისეთი არის, რომ ეს სკოლები თანდათან გადადის განთ-ლების სამინისტროს ხელში. განათლების წესის სამინისტროს ხელში გადადის, რო-გორც კერძო საზოგადოების სკოლები, „აგრეთვე იყო შემთხვევა, რომ სკოლები გადაირიცხა მიწათ მოქმედების უწყებიდან საერთ განათლების სამინისტროს ხელში, მაშასადამე ეკროპის მაგალითები ჩენ სწორედ იმას გვიმტკიცებენ, რა-საც ჩენ ვიცავთ,“ რომ სამეურნეო სკოლები უნდა იყვნენ გბნათლების სამინი-სტროს ხელში. იმ მოსაზრების ძალით, რომელიც ჩენ გამოვსთვეთ.

მე არ შეუდაგები ცალ-ცალკე დასახელება იმ მაგალითებისას, რომელიც დასავლეთ ეკროპაში არის. როცა ეს საჭირო იქნება ამას, მაშინ წამოგიყენებთ გრძმანიაში, საფრანგეთში სწორედ ასეთი მდგომარეობა არის, როგორც მე მოგახსენეთ.

მაგრამ მივიღოთ პირდაპირ ისეთი მდგომარეობა, რომ იძულებული ვიქნებით მიწათ-მოქმედების სამინისტროსთვის გადაგვეცა ეს სკოლები, ბაკ-ნებო, ერთხელ კიდევ მოგახონებთ, რომ ამ უამად მე არ მიღავარებს არა თარი ფრაქციული მოსაზრება, არავითარი პრატიკული თვალსაზრისით არ ლმძღვანელობ. ეს თქვენ გარშეუნებთ გ ნათლებ ს სამინისტროში, რომ



პირი იდგეს, ჩვენ ასეთივე სისასტუკათ გამოვექმომაგებოდით, როგორც დღწეს როდესაც ამ სამინისტროს სათავეში სოციალ-ფედერალისტების წარმომადგენელი იმყოფება, ჩვენ ასეთივე სისასტუკათ გამოვექმომაგებოდით განათლების სამინისტროს იმიტომ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო არის ერთად-ერთი სამინისტრო, რომელმაც ვერ აიღო ალო ჩვენი ცხოვრებსა და ნაციონალურ გზაზე ვერ გადავიდა, ამ გარემოებას ჩვენ კადევ ძალიან დად ანგარიშს უწევთ.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო ისეთი ბუდე არის, სადაც ყოველივე ჯურის რეას მოხელეებს თავი მოუტიათ, მიუხდავად იმისა იცან რამ ამ მოხელეებმა, აქვთ რამე მნიშვნელობა ამ საქმისთვის, რომლისთვისაც მოწოდებული არიან თუ არა. მიწათ-მოქმედების მინისტრმა ხომერიქა განაცხადა: „ნუ სწუხარო, ბატონი ნუცაბიძე, ჩვენს განკარგულებაში, ჩვენ უწყებაში მეცნიერებიც მოიპოვებათ“, მე ასეთი უფიცი და რეგვენი არა ვარ, რომ არ ვაფასებდე მეცნიერებს და პატივს არ ვცემდე მათ, მაგრამ ბატონი ხომერიკი ზედმეტად იფასებს იმ მეცნიერებს, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფებიან.

გადავალ ყველა იმათ დასახელებაზე, ვინც მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში იმყოფებიან.

ტიმიფეევი და სასნოვსკი მეცნიერები არ არიან. იქნება მიშჩენეო არის მეცნიერი? გავარჩიოთ თუ რას წარმოადგენს ამ სამინისტროში მყოფი პირები. მე ვშიშობ, რომ აქ რეც ისე სერიოზულად არის და მეცნიერულად არის საქმე დაყენებული, როგორც მინისტრს წარმოუდგენია. სასნოვსკი, რომელსაც აქვს ჩაბარებული ბოტანიკური ბალი, რომელიც უკველია დიდ როლს ითამშებს ამ მომავალ ორგანიზაციაში, რომელიც სითავეში ჩაიდგება სამეურნეო სკოლებს, ეს სასნოვსკი დღესაც არ არის თავის ადგილას, ეს მოუდნე არის მცნარეების, ფიზიოლოგიის მარტო, მას აქვს მეცნიერების ხარისხი მიღებული მცნარეების ფიზიოლოგიის შესახებ. მას კი აქ სულ სხვა თანამდებობა აქვს ჩაბარებული. მისი სპეციალობა არის სისტემატიკა მცნარეებისა და ამ ორ მეცნიერების შორის, რასაკვირველია, ბატონ მინისტრს; ეცოდინება, ძალიან დიდი განსხვავება გახლავთ (გაბაშვილი: მე ვეონბ, რომ იცოდეს) აი ბატონებო მათი მეცნიერების ლირება, მათი სპეციალობა და მათი ცოდნა. მცნარეების სახელის ცოდნის იქით მას არა აქვს და იმ მოვალეობისთვის, რომელიც თქვენ მიგინიჭებით მიწათ-მოქმედების სამინისტროში, ეს არაფერ ლირებას არ წარმოადგენს, რაც შეეხება მიშჩენეოს,—უკველ შემთხვევაში მას არავითარი მეცნიერული ხარისხი არა აქვს მიღებული, მიშჩენეო არავითარი მეცნიერი არ არის. თუ მხედველობაში მიეღიღებთ იმ გამოცემას, რომელიც მიწათ მოქმედების სამინისტრომ დაუბეჭდა, თუ თქვენ გაიცნობთ მ შორმას, იმაში მეცნიერული არაფერი არ არის, და მეცნიერებისათვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. მიშჩენეო ეს ისეთი პირია, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მიწათ მოქმედების სამინისტროში და მე ვშიშობ, რომ მომავალ სკოლების მოწყობაშიც ყველაზე მეტს როლს ითამშებს. ამ მიშჩენეოს ბატონებმა, არა სასურველად მიაჩნია, რომ რუსულმა მეცნიერებამ ქართული ორიენტაცია ისილოს. გოგებსენებათ, ცნობილი ბოტანიკოსი ნავაშინი, რომელიც ქართული ორიენტაციის არის, რომელსაც სურდა ქართველებთან ემუშავნა, რომელსაც უახლოეს დროს ქართულ უნივერსიტეტში მოიწვევენ, რომლის გულისთვის საგანგებოდ ჩვენ გინდა რუსულ ენაზე კითხვა შემოვილოთ, რადგან ხელოვნებაში ჩვენ ბატონებო, არ გვეშინიან არც რუსულ ენისა, არც რუსულ მეცნიერებისა. ით ამ ნავაშინის წინააღმდეგ ილაშქრებს მოშჩ ნკოფი და ჩვები. როდესაც ნავაშინმა განსაკუთრებული პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ქართულ მე-

ცინიერებთან მუშაობისთვის, მაშინ მიშჩენენ განიოწყვია ნავაშინი და უზნოა: „თავი დაანებე ამ ქართულ ნაციონალისტებს. აქ მოდი მიწათ-მოქმედების სა-მინისტროში, მხოლოდ აქ იმყოფება პატიოსანი ხალხი“-ი. ნავაშინი ამას არ უარპყოფს.

მიშჩენებულ ამ გზით ჩავალა პრაქტიკული ნაბიჯები ნავაშინისა, რომელ-ზედაც მე არ შევჩერებ თქვენ ყურადღებას. საქმარისია ყველა-სათვის ის, რაც გავიგეთ, რომ მიშჩენი სრულიად მიუღებელი კაცია ჩვენთვის და დღეს ეს არის მიწათ-მოქმედების. სამინისტროში. ამიტომ ეს უნდა ვიქონიოთ მხედვე-ლობაში, რომ იმან ყოველ შემთხვევაში ვერ ითამაშოს დიდი როლი ამ მომა-ვალ ორგანიზაციაში, რომელმაც ჩვენ სამეურნეო სკოლის მოწყობას უნდა უხელმძღვანელოს.

ბატონებო, ასეთი მდგრამარეობაა და ყველა ამ მოსაზრების ძალით, ვი-ნაიდან არსებითი არგუმენტი, არსებითი არაფეხი წარმოუდგენიათ, და სწო-რედ ამ არგუმენტის არარომბაშ გვაიძულა ჩვენ წარსულ კურახე, სხვანაირი ასწან მიგვეცა იმ გამოსვლებისათვის, რომელიც აქ ხდება. მე უნდა მოგახსე-ნოთ, რომ საერთოდ, მე მიუღებლად მიმაჩნია სხვის გულში ხელის ფათური. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები, მე იმაში ვეთანაბები ბ. ნათაძეს, მაგრამ ერთი მდგრამარეობა არის საერთო წარსულ კამათში. როდესაც მოპირ-დაპირენი ვერავითარ ლოდიუს საბუთს, ვერავითარ მოსაზრებას ვერ წამოა-ყენებენ, ნაშინ გვეუბნებიან, ჩვენ გულში ფათური გინდათო: თუ გინდათ შემ-დეგ რაიმე საქმის გაკეთება უნდა გაიგოთ, როდესაც მოწინააღმდეგებს საბუთი არ აქვს, რა აიძულებს მაშინ, რომ ასე ლაპარაკობს. აქ კი ჩვენ ვდევეართ ლოდიუს გარეშე. ეს ფსიხოლოგიურად საფუძვლიანია, და ნურასუქაცრავად ბატონ ნათაძეს, თუ თქვენ ხელში ვერავითარ არგუმენტს ვერ ვნახავ და და-ვიწყებთ იმის ძიებას რაც გალაპარაკებთ. ბატონებო, ყველა ამ მოსაზრების ძა-ლით ჩვენ სრულიად მიუღებლად მაგავანია, თუ ჩვენ საქმეს ანგარიშს გაუ-წივთ და ჩვენ საკითხს მთელი თავის მნიშვნელობით მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ეს სკოლები გადავიდეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში.

როგორც მოგახსენეთ ეს არც საქმიანობის ოვალსაზრისით ყოფილა საჭი-რო და ეს საფრთხეს წარმოადგენს მეორე მხრივაც, იმ მხრივ, რომ მომავალ სკოლის სათავეში ჩადგებიან ისეთი პირები, რომელთაც ჩვენ ქვეყანასთან არავითარი არა აქვთ რა. ბატონი მიწათ-მოქმედების მინისტრი ხელს მერე გაიქნევს.

აქ ბატონმა ნათაძემ მეცნიერებაზე ბევრი ილაპარაკა. მე მგონია დიდი უინი გაქვთ მეცნიერებაზე ლაპარაკისა (ხმაურობა. ხმა: დიპლომი...) დიპლომი თქვენთვის დიდ რამეს წარმოადგენს, სჩანს მწარე თფლით მიგიღიათ, (ხმა: ყოჩა! ნინიძე ადგილიდან: პროფესორი ბრძანდებით) პროფესორები უსათოდ დღესაც გესაზრებათ, სჩანს არა ერთხელ გაშითლებულხარ ეგზამენებჲე.

თავმჯდომარე. გთხოვთ კერძო ლაპარაკს თავი დაანებოთ.

შალვა ნუცუბიძე. ბატონებო, როდესაც მიწათ მოქმედებს მინისტრი გამოდის აქ და ლაპარაკის იმაზე, რომ სერიოზული საქმე გვაქვს გაკეთებუ-ლი და მომზადებული პარნი ქართველ ხალხში არ მოიპოვებათ, ჩვენ ამას სე-რიოზულ ანგარიშს უშევთ, და ვფიქრობთ, რომ უწყების წარმომადგენელი მართლაც, იმას ლაპარაკის, რაც სინაძვილეში ხდება. მაგრამ, მიწად-მოქმე-დების მინისტრი, აქ შემთხვევაში, არ არის მართალი. იქნება ბევრშა წევრი პარლამენტისამ არ იცის, მაგრამ, მე მოგახსენებთ თქვენ, ბატონებო, დაედგი-



ყოველივე პარტიულ რაიმე მოსაზრების გარეშე, ნურავის ნუ გავახარებთ ჩვენი ჩვენი შენაურ ჩეუბით. მე, როგორც საქმიან ამოზიციის წარმომადგენელი გე-უბნებით: „საქმეს, საქმიანობის თვალსაზრისით შევხედოთ, და ისე გაუშრიოთ მას ანგარიში“. და როდესაც მიწის მოქმედების მინისტრი გამოდის აქ, და ამბობს, „სპეციალისტები არ არიანო“, მაშინ უთხარით მას თავგამოდება: „არაან საქართველოში ისეთი მცოდნე პირები, რომლებმაც გაცილებით უკეთ, გაცილებით მეტი იცავ წს საქმე: რომ მიწად მოქმედების სამინისტროში ქარ-თულ ორიენტაციის მოწინააღმდეგი პირებს, მეცნიერებს დადა პასუხისმგებ-ლობის თანამდებობა არ ჩინიჭოს“. გნებავთ ისეთი პირების. დასახელება? რომ თქვენ მეტი საბუთი გქონდეთ, მე დავისახელებთ ასეთ პირებს. თუ გნე-ბავთ თითქმის ყეველა დარგებში, საქართველოს ჰყავს მოზაფებული ხალხი.

გვყავს პროფესორი მელიქიშვილი, რომელმაც პრაქტიკული, კონკრეტუ-ლი წინადადებაც გაუკეთა სამინისტროს, და სამინისტრომ უარი უთხრა.

მერე ბატონებო, ავროვო ტყის საკითხი. თქვენ სტატისტიკიდან იცით, რომ აუარებელი ტყე გადავიდა სახელმწიფოს ხელში. ჩვენთვის აუცილებელი საჭირო არის ტყის საკითხის შესწავლა საქართველოს ტერიტორიაზე: უკვი დღეს არის ლაპარაკი, ჩვენმი უმაღლეს რაიმე დაწესებულების შევნაზე, ტყის ინსტიტუტზე. მე ვშემობ, რომ მომზაღლშიაც გამოვა მიწად მოქმედების მინისტ-რი და იტყვია: „არ გვყავს მომზადებულნი პირნი და იმიტომ რუსებს უნდა მიყეთო“. მიუხედავათ იმისა, რომ ექ გახლავთ ისეთი პირი, როგორც არის პროფესორი ქურდიანი, ახალ ალექსანდრიის ინსტიტუტის პროფესორი. (ხმაუ-რობა). ბატონონ ნინ ძე, დოკტორის ხარისხის პროფესორი. და ამას ეს საკით-ხი ძალიან კარგად ესმის. მაგრამ, მიუხედავდა იმისა, ის ჩვენ სამინისტროში არ არის. თუმცა მას ძალიან სურს პრაქტიკული მუშაობა, და ყოველთვის მზად არის ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს. ეს ძალიან კარგად ვიცი და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს ამაზე ვთქვა.

შემდევ არას, ბატონებო, რუსიც, როგორც მოგახსნეთ, ნავაშინი. ნავა-შინი ისეთი რუსია, რომელიც ჩვენ მივიღეთ საზოგადოთ. უნდა მოგახსნოთ, რომ ჩვენ საქმეს ვაფასებთ, არა იმისდამიხედვით, რომ რუსი არის, არა, ჩვენ რუსებს ვაფასებთ იმისდამიხედვით, გამოსადევია იგი ჩვენს საქმეში თუ არა.

ფაქულტეტმა უკვი დადგინა, რომ ნავაშინისათვის განსაკუთრებული მდგომარეობა შექნის, და ნება მისცეს მას ლექციების ტუსულ ენაზე კითხვისა იმიტომ, რომ ეს ისეთი რუსია, რომელიც ჩვენ გამოგვადება. ბატონებო, თუ კი ქართველები გვყავს და თუ ისეთი რუსები მოიპოვება, რომელიც ჩვენ ინ-ტერესებს დაიცვენ, რაღა დაემართა, მიინც და მაინც ამ სამინისტროს, რომ ისეთ რუსებზე შეჩერდა, რომელთაც ჩვენი არაფერო წამო, როგორც მიჩვენ-კო და პირიქით, სახელს უფლებელ რუსების ისეთ საუკეთესო მეცნიერებს, როგორიცაა ნავაშინი.

თავმჯდომარე პარლამენტის წევრი მაჩაბელი მიხეილ.

მიხეილ მაჩაბელი. (დ. ნ. დ) ბატონებო, საქართველისად იყო გამორკვეული პრინ-ციპიალური მხარე ამ საკითხისა. მართლა, რომ პრინციპიალურის მხრივ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს მარტოდ-მარტო მიწად მოქმედების სამინისტროს ხელში სა-მეურნეო სასწავლებლები, მაშინ, როდესაც სხვა დარგის სასწავლებლების გადა-დან იქ, სადაც უნდა იყვნენ. ჩვენის აზრით, ყველა სასწავლებლები განათლე-ბის სამინისტროს ხელში უნდა იყვნენ, და რათა, რა მოსაზრებით სამეურნეო ინსტიტუტი უნდა იყოს სხვა სამინისტროში. ბ. ლასხიშვილს, და იმის თანა-ზემდეს ძალიან კარგად ესმის საკითხი. მათ ესმით, რომ ერთ ადგილას უნდა

იყოს მოთავსებული ყოფელივე დარგის სასწავლებელი: სატეხნიკო, სამხედრო, სასულიერო და სხვა სასწავლებლები, უნდა გადასცეთ განათლების სამინისტროს, და ამიტომ სამეცნიერო სასწავლებლებიც უნდა იმავე სამრინისტროს გადაეცეს. ეს ისეთი სასწავლებლებია, და ისეთი დარგი არის, რომელიც საქართველოში უფრო საერთო არის. ყველა ქართველმა უკარი იცის მცურნეობა, კიდრე სხვა დარგი, ამიტომ განათლების სამინისტროს ამ დარგის სასწავლებლების პატრონობა უფრო ადვილად შეეძლება, კიდრე სხვა დარგის სასწავლებლებისა. რო მოვიმინე მწარმე-მოქმედებს მინისტრის აზრი, მე მცვონა, გარევულად იტყოდა, რა მიზეზებით, რა შოსაზრებით უნდა დაჩიხეს მარტო ეს სასწავლებლები მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელში. იმან კი რა სოჭვა? ბატონმა მინისტრმა ისა სოჭვა, რომ მემარჯვენები იმას ამბობდნენ, მემარჯვენები რაღაც საფრთხეო და კიდევ რაღაცა ბრძანა მემარჯვენებზე. განა ეს ახენა არის ამ საგნისა. მეორე კიდევ ის მოყვანა, კითომ სამინისტროში შესაფერი აპარატი შოტყობილი არის, რომ არ შეიძლება, რომ აპარატი ხელიდან გამოგვაცალოთ, და რომ ჩენ არ უხელმძღვანელოთ ამ სასწავლებლებსათ. რაც შეეხება მემარჯვენებს, რომელიც ყველანი, მარტო სოციალ-დემოკრატები კი არა, ჩენი მეზობლებიც კი, ყოველთვის ხელს ჩვენებ გაიშვერენ ხოლო და მემარჯვენების გვიყიუნებენ, უნდა მოვახსნოთ, რომ ჩენმა თავ-მჯდომარებ და საზოგადოთ იმათ, ვინც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში იყვნენ, იციან რას წარმოადგენენ მემარჯვენები რუსეთში, რომელთაც მემარჯვები უკიუნებდნენ მუდან, და ყველამ იცის, რა დიდი განსხვავება არის ამ მემარჯვენების და ჩენი პარლამენტის მემარჯვენების შორის. რუსეთში მემარჯვენები ეყმარეთ რანენ თავის მოქმედებაში ძლიერ მთავრობის პარტიისა და მხარის უკერდა მაშინდელ საშინელ მთავრობას. ჩენ კი წინააღმდეგი ვირთ სწორედ მთავრობის პარტიისა. აქაური მემარჯვენები სულ სხვა ხასიათისა გახლავან. ამ მემარჯვენებისთვის ძალიან სახეორა არის ყოველთვის ოქვენი მომხრენი იყვნენ, იმიტომ, რომ ძლიერი თქვენა ბრძანდებით. აქ მემარჯვენე უფრო მორიალური ხასიათისა. და მორიალურად რომ ვისხდეთ, თქვენ აქ მარჯვენით უნდა ისხდეთ, და ჩენ მარცხიო. (ხმა: გამოვცალოთ). დიაბ, დიაბ. იმიტომ, რომ ჩენ არავითარ ხეირს არა ვხედავთ მემარჯვენებაში, როგორც რუსეთის მამარჯვენები ხეირს ხედავდნენ. ამას თავი დავანებოთ. დაუბრუნ-დეთ მიწად-მოქმედების სამინისტროს აპარატს. თურმე ბ. ხომერიკისა ხელში გასაოცარი აპარატია. ამ აპარატის გვერდით ვვ. წ. გახლდით, და რა აპარატია, —ძალიან კარგათ ვიცი. ეს აპარატი ის იყო, რომლითაც საქართველოში ყველა ქართული დარგი და ქართული საქმე დაბშული იყო. „პროცესუალისტები“ აპარატი გახლდათ კარგად შოტყობილი; იქ იგრონობები იყვნენ და რა ჩაიდინეს იმ აგრძონმებმა ყველამ იცის. დიაბ, ისინი იმას აწყობდნენ, რაც ხასა-გებლო და სახეირო არ იყო ქართულ მეურნეობისთვის. საქართველოს მეურნეობა ისეთ გეზით წაიყვანეს, რომელიც ჩენ კვეყნისთვის ყოვლად შეუწყარებელია. ბევრს გებრძოდით, მაგრამ ვერაფერს ვერ გავხდით. ჩენი მხარე ისეთი მოყვანა არის, რომ ექვთიური მცენარეების მოყვანა აღვილი არის, და ამიტომ რუსის აგრძონმები დიდს პატრონობას უწევდნენ ყურწენის და ხეხილის მოყვანის, სწორეთ იმას, რაც რუსეთში არ არის. მინდორის მოვლას და ხორბლეულობის და ბალახის მოყვანას კი, რომელიც უმრავლესობა ჩენი ხალხისა მისდევდა, არავითარ დაბშერებას არ უწევდნენ, არავინ არა ცდილობდა პურის მოყვანის გამჭვიმებელებას. ამ დარგს, არაფრით ხელს არ უწყობდნენ, რათა მეტოქეობა არ გაეჩინათ რუსეთის პურისთვის, და მოელი სამინისტროს აგრძ-



ნორია და აპარატი ისე იყო მიმართული, რომ პური უსათუოდ რუსეთიდან  
მოვეტანა და პურის მოყვანა, მიწის მოვლა არ შევესწავლა ისე, როგორც  
მეცნიერება მოითხოვდა. ჩვენში უმრავლესობა ხენა-თესეას მისდევდა და დღე-  
საც მისდევს და ხენა-თესეისთვის კი არავითარი აპარატი არ იყო, არავითარი  
სასწავლებელი, ან საჩვენი—სამაგალითო მინდორი არა სუფედა. და დღეს ჩვენ  
სწორედ ეს დარგი მეურნეობისა უნდა გავაძლიეროთ, რათა ეს უმრავლესობი-  
სთვის არის საცირო; ხალხის ინტერესი სწორედ ამას მოითხოვს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში სწორედ ისეთი ხალხია დაგროვილი,  
როგორც ბ. ნუცებიძე ბრძანებს, რომელიც სანდო არ არის და რომელსაც არ  
შეიძლება, რომ ჩვენი სასწავლებლები ჩავაბაროთ. მე არ ვიტყვი ამას, რომ შა-  
გალითად, ბ. ხმერიქის არ ვენდობი. ამ მხრივ, როგორ გინდათ პურმ არ ვენ-  
დო მას, როგორც ქართველ კაცს; მაგრამ ის ხელქვეთები, ეროვნულნიც მას  
ჰყავს, ჩვენთვის გამოსადევნი არ არიან; ჩვენთვის კარგს არაფერს არ ჰგააკე-  
თებენ, არც არავითარი აპარატი აქვთ ხელთ და არც შექმნიან სკოლებისთვის  
იმას, რაც გამოსადევგაა. თქვენ რომ სამეურნეო სკოლები ნახოთ, რომელიც  
მათ ხელთ აქვთ, დარწმუნდებით, რომ მართლაც არავითარი აპარატი მიწის  
მოქმედების სამინისტროს არ ჰქონია. საბავლოად არის ის სასწავლებლები და-  
ყენებული იმიტომ, რომ არავინ არა ზრუნავდა, არავის გული არ შესტკითდა.  
აბა ერთი დაასხელეთ, ბრძანეთ, სად არის ის გამოჩენილი მინდვრები, რომე-  
ლიც მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაარსა. არის ერთად-ერთი სერიოზუ-  
ლი დაწესებულება—ბოტანიკური ბალი, და იმის განყოფილებანი; მაგრამ ჩემის  
აზრით, ყოვლად შეუძლებელი იქნება, რომ ეს დიდი დაწესებულება, დარჩეს  
მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში. ეს ერთი დაწესებულებაა, რომ ჩვენში  
რომ იყოს სამეცნიერო აკადემია, ეს ბალი უნდა ექვემდებარებოდეს სამეცნიე-  
რო აკადემიას, და არა მიწათ-მოქმედების მინისტრს. ყოვლად შეუძლებელია,  
რომ მომავალში მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში დარჩეს ბოტანიკური  
ბალი, როგორც სამეცნიერო დაწესებულება; ამიტომ ეს ბალიც დღესვე განათ-  
ლების სამინისტროს ხელში უნდა იყოს. ვისაც კი ბოტანიკური ბალის მნიშვ-  
ნელობა არ გაუთვალისწინებია, ვერც კი ჭარმოიდევნს რა დიდი სამეცნიერო  
ძალა არის ეს ბალი ჩენი უნივერსიტეტისთვის, რომელსაც დღეს არავითარი  
სახელმძღვანელო არა აქვს. ბოტანიკური ბალი ერთ უდიდეს დაწესებულებას  
წარმოადგენს; იმის ბრძანება, რომ ბოტანიკური ბალი უნდა ჩენ ხელში დარ-  
ჩეს გაძლიერ სრულიად შეუფერებელი; ეს სამეურნეო დაწესებულება არეს  
და ვიდრე ბეჭდემია დაარსდება საქართველოში, ჩემის აზრით, ეს ბა-  
ლი უნდა უნივერსიტეტის ექვემდებარებოდეს; უნივერსიტეტში უკვე და-  
არსდა ბუნების მეტყველების განყოფილება და ბოტანიკური ბალი—და  
მისი განყოფილები უსათუოდ უნივერსიტეტის ხელში უნდა იყოს და  
მერე, რასაციონულია, როგორც მოგეხსენეთ, იქნება ეს აკადემიის ხელში. სხვა  
არავითარი ისეთი თვალსაჩინო აპარატი, გარდა საქართველოს მამულების და ენა-  
ხებისა არ არსებობს. მიწად მოქმედებას მინისტრმა სთქვა: ჩვენ ისეთი აპარა-  
ტი ხელში გვაქვს, და ისეთი ხალხი გვყავს, რომ უსათუოთ ჩენ უნდა დაგვრჩეს  
სამეურნეო სასწავლებლები, და ყოვლათ შეუძლებელია ჩენ ხელიდან გამოგვე-  
ცალოსო". მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კარგი ქართველი, როგორც  
ისეთი წარმომადგენელი, რომელიც დაინტერესებულია მიწის შემუშავებში, მი-  
ნისტრი ყოველივე ლონეს იხმარებს, რომ დაეხმაროს განათლებას სამინისტ-



როს, თავის ამხანაგს, რომ სამეურნეო სასწავლებლები, რაც შეიძლება კარგი დღისას, და თუ საესპიციალურო მართალია, რომ მას ჰყავს ისეთი აგრძნომები, და ისეთი მცირებულები, რომელიც ამისთვის გამოდგებიან,—შეიძლება რომ ისინი დაუთმოს განათლების, სამინისტროს. ერთი რამ არის საუზრადლებო, ჩვენ ქვეყანას ესაჭიროება ერთი სისტემა, ერთი მიმართულება, ერთი გეზი სკოლების შესახებ. და როდესაც დასავლეთ ევროპაშე ბრძანებენ, ამბობენ რომ დასავლეთ ევროპაში, იმისთვის დარგის სასწავლებლები, პრინციპიალურათ, სასწავლებლები ხშირად განათლების სამინისტროს ხელში არ არიან, უნდა იცოდენ, რომ თითონ ცხოვრება იქ ისე მოწყობილი, რომ არავითარ შეს არ წარმოადგენს, თუ რომელიმე ქალაქის თვითმართველობის, ან ეროვნულის, ან კერძო პირებს ჩატარება, ესა თუ ის სასწავლებელი, იმიტომ რომ იქ განვითარებული ცხოვრება არის. და უკეთ სამინისტროს მოეპოვეთ იმისთვის ხალხი, რომელიც ამ საქმეს კარგათ წაიყვანს; ჩვენში კი ეს საქმე სრულიათ ეს არ გახდავთ. ჩვენში, საუბედუროს ხალხი, და საზოგადოება ისე არ არის განვითარებული, და განათლებული, რომ შეიძლებოდეს ასე დაქაქესვა ამ სასწავლებლების. და რადგანაც ჩვენ განათლების სამინისტროს გვყავს, საკუთრივ, იმისთვის რომ ჩვენში შოველ გვარ დარგის განათლება შემოვიდეთ, და ის უკვე, თითქმის, მიღებულია, რომ ჟურნალ გვარ დარგის სასწავლებლები განათლების სამინისტროს ხელში იყოს, ჩვენ ვერ წარმოვიდგენია, რომ ის დარგი, რომელიც ასე ძალიან გვაინტერესებს უკეთას და რომელსაც უფრო დიდი უზრადლება უნდა მივაჭიროთ, განათლების სამინისტროს ხელში რატომ არ უნდა იყოს; ჩვენ განათლების მინისტრი რატომ უნდა იყოს მოშორებული ამ საქმეს, რათა რა მიზეზით არ უნდა ეხებოდეს მას ამ სკოლების საქმე, რათ უნდა იყოს მოშორებული საერთო გეგმისაგან? ჩემის ასრიო, მიწად მოქმედების სამინისტროში არა ვხედავთ მსეთ ძელ აპარატს, რომ სახეორო იყოს ამ დარგის სკოლებისათვის და იმიტომ არა ვხედავთ საჭიროთ, რომ ეს დარგი დარჩეს მიწათ მაქმედების სამინისტროს ხელში. მი ვთანხმები სწორეთ იმათ, ვინც ამობრნ, რომ როგორც პრინციპიალურად გადავწყვიტოთ,—ყოველი დარგის სასწავლებლები უნდა იყოს ერთ სამინისტროს ხელში, ამიტომ ეს სასწავლებლებიც უნდა იყოს განათლების მინისტრის ხელში, და არა სხვა სამინისტროში.

**თავმჯდომარე:** პარლამენტის წევრი ქარუმიძე.

**შალვა ქარუმიძე:** ის ინტერესი, რომელსაც თქვენ, ბ-ნო პარლამენტის წევრნო, იჩენთ ამ კანონპროექტისადმი ცხად ჰყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერძოთ აი ამ დღევანდელ საკითხს და საერთოთ კი სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენი მომავლისათვის. თუ ჩვენ შევძელოთ ამ დიდი საქმის საღლ და სწორე გზაზე დაყენება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საღ და სამედო გზაზე და უკაყენებთ ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს მომავალს, საღათ აღზრდილი თაობა, უღებული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნით ისეთი გუშაგი და მოამაგე იქმნება ჩვენი სახელმწიფოსი, რომ მისი არსებობა კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყოფელმხრით უზრუნველყოფით ჩაითვლება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ეს დიდი მნიშვნელობის საკითხი ისეთი ხასიათისა გხელავთ, რომ მისი სასურველი გადაჭრა არ ურიცდება არც განყენებულ-დოფიციტო, მსჯელობას და არც გამოროტებულ პარტიულს კილოს და მით უშერეს. პარტიულს სიმარტივეს თუ ანტიპარტიებს.

ჩვენა სინამდვილის კუშმარიტი სახის შესწავლა, ჩვენი ცხოვრებითი საჭირო, როგორათ აღლოს აღება, ჩვენი ეროვნული, ეკონომიკური და კულტურული გე-



ზის სწორი ჭარმოლგენა და ყველაფერ ამის ჩაქსოდა სკოლის საქმეში, არით სულის ჩაბერვა დღევანდელ უკულმართ და გევდარ საქმეში—აი რა უნდა იყოს ის მთავარი დებულება, რომლიდანაც უნდა გამომდ ნარეობდეს აზრი და ფიქრი კოველივე ჩენენანისა.

მართალია ბ. შალვა ნუცუბიძე, როცა ამ საკითხს ისეთ საკითხათა სთვლის, რომელზედაც მსჯელობა უნდა იყოს გარეშე პარტიული და ფრაქციული მოსაზრებისა.

ეს ერთად ერთი სწორი შეხედულობა გახლავთ და საქმის ინტერესი მოიხოვს ამ შეგნების სათანადო სიმაღლეზედ და ლირსებაზეც იყოს ყველა ჩენენანი.

მე არ ვიშიარებ იმ შეხედულობას, რომელიც გამოითქვა აქ ჩემი ფრაქციისაგან და საჭიროა ვთული ჩემი აზრიც მოგახსენოთ მოკლეთ. საკითხი ასე გახლავთ დაყენებული—გადავცეთ თუ არა განათლების სამინისტროს ყველა სხვა ტიპის სკოლებთან ის სასოფლო-სამეურნეო სკოლებიც; რომლებიც მოგვეკვებიან და რომელნიც დღეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში იმყოფებიან?

მომხრენი გადაცემისა—მეტათ განყენებულად მსჯელობენ სამწუხაროთ. ერთათ ერთი მოსაზრება, რომელიც მათ მიიყვანს ეს კაბლავთ პრიციპი სკოლების გაერთიანებისა, ანუ გათი მოკრებისა ერთ სამინისტროს ხელში, ერთ-ქვერ ქვეშ. ბ-ნი ნუცუბიძე დასავლეთ ევროპის მაგალითს იმოწმებს. უნდა მოგახსენოთ სამეურნეო ცოდნის მხრივ ისეთ დაბალ დონეზე მდგომ ქვეყნისათვის, როგორც გახლავთ ჩენენი ქვეყნა—მოყვანილი მაგალითები ვერაფერი გაზისადეგია. გერმანიის და ომერიკის მეურნე აღმურვილი გახლავთ პრაქტიკული სამეურნეო ცოდნით; მან იცის ყველა სამეურნეო ინიციატის მოხმარება. იცნობს ნიადაგს და მის შემადგენლობას, მცვენარეთა და საქონლის ცხოველებას კა სხვა. მას მხოლოდ თეორიული ცოდნა ლა ესაშიძლება და ვეთანაშები, რა ამ თეორიულ ცოდნის მიწოდებას განათლების სამინისტრო ან დეპარტამენტებიც ახერხებენ დღეს.

ჩენ ასეთ მდგომარეობამდე სავალი გზა კადევ გვაქვს. ჩენ მეურნეს ესაკირობა უმთავრესად პრაქტიკული სამეურნეო ცოდნა. ჩენ სამეურნეო სკოლებსაც უმთავრესათ ეს დანიშნულება აქვს და ეს დანიშნულება ექმნება მანამდის, სანამ ჩენი მეურნეობა არ ალიჭურებდა პრაქტიკულის ცოდნით. სამეურნეო ელემენტარული განათლებით და არ გაიმსჭვალება ცოცხალი სამეურნეო ინტერესებით. ჩენ ვთიქრობთ ამას ვერ შესძლებს ჯერ-ჯერობით განათლების სამინისტრო, რომელსაც ამ ხანათ სხვა ძალიან დიდი საქმე აწევს კისერზედ ეს უნდა ითავოს იმ სამინისტრომ, რომლის დანიშნულება მარტო უზრი ღერეტების“ გამოცემა კი არ არის, არამედ რომლის დანიშნულებასაც შეადგენს ჩენ მეურნეობაზი ისეთი ურთიერთობის შეტანა, რომელიც თანასწორ გავეხდის ეროვნასთან სამეურნეო ტეხნიკისა, ცოდნისა და შრომის ინტენსივობის მხრივ.

ამ დიდ მიზნის მისაღწევად ჩენის აზრით სამი რაზ არის საჭირო. პირველი და უმთავრესი—სამეურნეო ალლოს აღება. უნდა საღი და სწორი ალლო გვიწოდეს სად, ჩენი ქვეყნის რომელ კუთხში, სამეურნეო ცოდნა უფრო გრძელება დგენდა, რა ხასიათის ცოდნის მიწოდება არის საჭირო, ამას დიდი წანასწორ მცხაობა უძღვის მუდამ. ეს ასეთი ხასიათის საქმიანობა გახლავთ, რომელიც დაავა სწორედ მიწად-მოქმედების სამინისტროში იყრის.

მეორე პირობა, ბატონებო, ეგრეთ წოდებული დამხმარე დაწესებულებათა



აუცილებლობა გახლავთ: ყოველ სამეურნეოს სკოლისათვის საჭირო არის სან-მუშო მინდორი ან ბალი, ლაბარატორია და სხვა. საცა არ არის, ან საცა არ იქნება სახეთი დაწესებულება—იქ სკოლა სკოლა არ იქნება. ჩეენ, ზეიძლება ნაკლები, მაგრამ მაინც გვაქვს ასეთი დაწესებულებანი. დღეს ორნაირ სამსახურს ეწევიან. იგინი უმთავრესათ ჩეენი ქვეყნის სამეცნიერო შესწავლას ემა-ბურებიან და საფუძვლად ედებიან იმ საქმიანობას, რომელიც სწარმოებდა და სწარმოებს მიწად-მოქმედების დეპარტამენტში, და მეორეს მხრით სამსახურს ეწევიან სამეურნეო სკოლების წინაშეც. ხერხდება ეს მხოლოდ იმიტომ რომ სკოლები ამ დეპარტამენტის ხელში არის. დღეს თქვენ გნებავთ სკოლები გამოაცალოთ ამ დაწესებულებას ხელიდან, რას უშერებით ამ დამხმარე დაწესებულებებს? ცხადია მათ სკოლებს ვერ გავატანთ, რადგან თვით მიწად-მოქმედების დეპარტამენტს უიმათოთ ვერ დავტოვებთ. ახალსაც ვერ შევქმნით, რადგან ამას დიდი დრო უნდა და ისეთი ხარჯი, რომელსაც ჯერ-ჯერობით ჩეენი ხა-ზინა ვერ იტანს. სკოლებიც, თუ ჩამოვაშორეთ ამ დამხმარე დაწესებულებებს სკოლები აღარ იქნებინ; მათ არავითარი აზრი აღარ ექნებათ.

მესამე აუცილებელი პირობა—საჭირო აპარატის, მომზადებული ხალხის ყოლი გახლავთ. განათლების სამინისტრო, რომელიც აცხადებს პრეტენზიებს ამ სკოლებზე, მოვალე იყო გადაჭრით ეთქვა ჩეენს წინაშე ჰყავს თუ არა, ან შეუძლიან თუ არა იშივოს ეს საჭირო ხალხი, აამუშაოს საჭ-რო აპარატი და რა დაუჯდებოდა ჩეენს ხაზინას ეს აპარატი? სამინისტროს ამაზეც, რო-გორც იცით, სიტყვა არ ამოუღია. ეს მეტად სხუბუქი და მხატვე შეგნება გახ-ლავთ მოვალეობისა და დიდ დან-შაულად უნდა ჩაეთვალოს იგი. თუ სამინის-ტრო ჰყიურობს იმას, რომ სკოლებს დღევანდელი ხელმძღვანელ-ინსტრუქტორები გაპყვებიან თან—ეს მართალი არ არის, ვინაიდამ ხელმძღვანელ ინსტრუქ-ტორების უმრავლესობას სხვა დანიშნულება აქეს მიწად მოქმედების სამინის-ტროში. ცალკე აპარატის შექმნა კი დიდ ხარჯს გამოიწვევს და ფინანსობთ ფულიც რომ გავილოთ ეს არც ისე იდვილი საქმე გახლავთ, რომ სულ ახლო მო-მავალში მოვახერხოთ.

ცხადია ეს მოსაზრებაც მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასარგებლოდ ამბობს. ეს აპარატიც დღეს მის ხელში. ჩეენ შეგვიძლიან დიდი აზრისანი არ ვიყოთ ამ აპარატზე. საესმით ვიზიარებ მეც იმ საყვედურებს, რომელიც ხედა ბ-ნს ხომერიქს, გნებავთ „ნაციონალიზაციის“ გულისათვის. მაგრამ ჩეენ სხვა გა არა გვაქვს დღეს.

ყველა იმ მოსაზრებათა შიხედვით მე უერთდები კომისიის აზრს და მხარს უქერ იმას, რომ სამეურნეო სასწავლებლები დარჩენ ისე მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში. ვიმედოვნებ, რომ მალე მოეფინება ჩეენ ხალხს სამეურ-ნეო პრაქტიკული ცოდნა, განათლდება ამ სიტყვის სრული შინაარსით. მაშინ სკოლასაც დაეკარგება პრაქტიკული მნიშვნელობა და ჩეენც მხარს დაუჭროთ რომ თეორიული ცოდნის მოწოდება განათლების სამინისტროს ხელში იქმნება.

**თავმჯდომარე:** მიწად მოქმედების მინისტრი.

მიწად-მოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, ბატონებო, აქ პ. ნუც-ბიძემ პარლამენტს მიაწოდა ზოგიერთი ცნობები, რომელიც სრულიად სინაც დვილებს არ შეეფერება ეს მეც მაიძულებს, რომ გამოვიდე, და ორიოდე სიტყ ვა ესთქვა.

მე სრულიად არ მქონდა სურეილი, რომ გამოსულიყავი, და ამ კათელ რიდან მელაპარაქნა, ვინაიდან თუ ფრაქციული და პარტიულ თვალსაზრისი



არ ილაპარაკებენ, ისე თავის თავად ცხადია, რომ სამეურნეო, სპეციალური სკოლები, რომელიც სამინისტროს ხელშია, მის უწყების ხელში უნდა იყოს. ეს მცოდნე კაცისთვის სადაო არ არის.

შხოლოდ, მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, რაც აქ განაცხადეს. მე ვემყარები იმსა, რაც გადმომცეს. სამწუხაოდ მე, კიდევ ვერ მევესწარ კამათის დაწყებას მე გადმომცეს, რომ ვითომ მე ქართველ შეცნიერებას არ ვაძლევ ადგილს ჩემ ჩრწყებაში, ვაძლევ მხოლოდ რუსებს და საერთოდ რუსების მეცნიერებას, სინარულით ვლებულობ სამსახურში ისეთ მეცნიერებს, რომელიც ჩენ ორიენტაციის და ჩენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან. ეს არის ან გაუკებრობა, ან და არ ვიცი, განზრაბ მოწოდებული ცნობები, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერებიან არც პირველ, არც მეორე, და არც მესამე შემთხვევაში.

აქ, სხვათა შორის, დაასახელეს ქართველი მეცნიერი და ტყის საკითხის კარგი მცოდნე ქურდიანი. სთქვეს, ვითომ მე იმისთვის ადგილი არ მიმიცია (ნუკუნძიე: აგრე არ მოთქვამს!) და დანარჩენ ადგილებზეც რუსი სპეციალისტები გვყვანან. უნდა მოგახსენოთ, რომ ქურდიანი ჩენ უწყებამ გამოიწვია რადიოთი უკრაინიდან; სანამ ის მოვიდოდა, ორი თვე გავიდა. სატყეო განყოფილების უფროსად დავნიშნეთ. შემდევ ის მოვიდა, თანამდებობის შესრულებას შეუდგა და არავის არ უფიქრია მისი განდევნა, და შევიწროვება. პირიქით, იმას ვეძებდით, როგორც მცოდნე კაცს, ვიცნობდით როგორც სპეციალისტს სატყეო საკითხში. ვიცნობდით მის სამეცნიერო შრომას, და აი ამ სამეცნიერო ცნობების გამო, დღეს მოვიწვიეთ ეს კაცი და დღეს იგი ერთ უდიდეს განყოფილების მეთაური არის.

წირსულ კრებაზე აქ ილაპარაკეს, რომ რუსულ ენაზე გაიმართა კურსები. ეს კურსები სწარმოებდნენ, და მოქმედებდნენ სწორედ იმ ჩიზნით, რომ ჩენ რესპუბლიკას მივცეთ რამდენადაც შეიძლება მოკლე ხანში, რამდენიმე ქართველი სპეციალისტი ტყის საქმის, „ლენინები“ და მათი თანაშემწენი. ამ მიზნით, გაიხსნა ის კურსები და ამ კურსების მეთაური და ხელმძღვანელი გახლავთ ჩენი თანამშრომელი მოსამსახურე ქურდიანი.

რაც შეეხება დანარჩენებს კი, — აქ დაასახელეს სხვათა შორის ტიმოფეევი. მე არ ვიცი ტუკილისზე ვინ არ იცნობს ტიმოფეევს. მის გამოკველევზე და შრომაზე ალიზარდა ჩენი მეურნეობა. კაცი, რომელიც მშვენივრად იცნობს ჩენს ქვეყანას, რომელმაც მთელი თავისი მოლევაშეობა აქ გაატარა, 30 წ. აქ შრომობს, ჩენს ქვეყანაში,—ეს კაცი, თურმე სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. მე არავის ველაპარაკები ორიენტაციაზე. ორიგნტაციის საკითხისთვის ჩენ არ გვაქვს ისეთი საზომი, რომ მიუღევთ ყველა პირებს და ვეითხოთ: „თქვენ რა ორაენტაციის მომხრე ხართ“ ჩენ საქმეს ვეითხულობთ,—რა გააკეთა. და, უასაკერიველია, თუ ის აშეარიც მოქმედობს ჩენ წინააღმდეგ, თავის თავად ვა აადია, იმას ადგილი არ ექნება ჩენს დაწყებულებაში. მე არ მაქვს, ყოველ ან, ემთხვევაში იმისთანა საბუთი, ჩენ სამინისტროში არ მოიპოვება იმისთანა ი ამ სტანდარტების მოსამსახურე, რომელიც ჩენ დამოუკიდებლობის და ჩენ საულოების არსებობის წინააღმდეგ აგატაციას ეწევოდეს. მე ისეთი საბუთი უსლა მაქვს და როცა მექნება, რასაკირველია, იმის წინააღმდეგ ყველა ჩენ— რა ანი მიიღებს ზომებს. რაც შეეხება კერძოდ ტიმოფეევს, ტიმოფეევი გახლავთ მის ათი იმ პირთაგანი, რომელიც სწორედ ჩენი ორიენტაციის მომხრეა, და სარატაპართველოს ერთგული მუშავი არის (ხმა: მიუდგომელი მუშავი!).

არიან აქ სხვა შეცნიერებიც, სხვა მოღვაწებიც (ხმა: მიშჩენკა) არიან

არ ილაპარაკებენ, ისე თავის თავად ცხადია, რომ სამეურნეო, სპეციალური სკოლები, რომელნიც სამინისტროს ხელშია, მის უწყების ხელში უნდა იყოს. ეს მცოდნე კაცისთვის სადათ არ არის.

მხოლოდ, მე მინდა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რაც აქ განაცხადეს. მე კემყარები იმას, რაც გადმომცეს. სამწუხაროდ მე, კიდევ ვერ მე-კემყარ კამათის დაწყებას მე გადმომცეს, რომ ვითომ მე ქართველ შეცნიერებას არ გაძლევ ადგილს ჩემ რწყებაში, გაძლევ მხოლოდ რუსების შეცნიერებას, სინარულით ვლებულობ სამსახურში ისეთ მეცნიერებს, რომელნიც ჩვენ ორიენტაციის და ჩვენ დამოუკიდებლობის ჭინააღმდეგი არიან. ეს არის ან გაუკებრობა, ან და არ ვიცი, განზრას მოწოდებული ცნობები, რომელნიც სინამდვილეს არ შეეფერებიან არც პირველ, არც მეორე, და არც მესამე შემთხვევაში.

აქ, სხვათა შორის, დაასახელეს ქართველი მეცნიერი და ტყის საკითხის კარგი მცოდნე ქურდიანი. სთქვეს, ვითომ მე იმისათვის ადგილი არ მიმიცია (ნუკუბიძე: აგრე არ მითქვაში!) და დანარჩენ ადგილებზეც რუსი სპეციალისტები გვყანან. უნდა მოგახსნოთ, რომ ქურდიანი ჩვენ უწყებამ გამოიწვაა რაღიოთი უკრაინიდან; სანამ ის მოვიდოდა, ორი თვე გავიდა. სატყეო განყოფილების უფროსად დაენიშნეთ. შემდეგ ის მოვიდა, თანამდებობის შესრულებას შეუდგა და არავის არ უფიქრია მისი განდევნა, და შევიწროვება. პირიქით, იმას ვეძებდით, როგორც მცოდნე კაცს, ვიცნობდით როგორც სპეციალისტს სატყეო საკითხში. ვიცნობდით მის სამეცნიერო შრომას, და ის ამ სამეცნიერო ცნობების გამო, დღეს მოვიწვიეთ ეს კაცი და დღეს იგი ერთ უდიდეს განყოფილების მეთაური არის.

წარსულ კრებაზე აქ ილაპარაკეს, რომ რუსულ ენაზე გაიმართა კურსები. ეს კურსები სწორმოებდნენ, და მოქმედებდნენ სწორედ იმ ჩიზნით, რომ ჩვენ რესპუბლიკას მიყცეთ რამდენადაც შეიძლება მოკლე ხანში, რამდენიმე ქართველი სპრიალისტი ტყის საქმის, „ლენინები“ და მათი თანაშემწენი. ამ მიზნით, გაიხსნა ის კურსები და ამ კურსების მეთაური და ხელმძღვანელი გახლავთ ჩვენი თანამშრომელი მოსამსახურე ქურდიანი.

რაც შეეხება დანარჩენებს კი, —აქ დაასახელეს სხვათა შორის ტიმოფეევი. მე არ ვიცი ტფილისში ვინ არ იცნობს ტიმოფეევს. მის გამოკვლევაზე და შრომაზე აღიზარდ ჩვენი მეურნეობა. კაცი, რომელიც მშვენიერად იცნობს ჩვენს ქვეყანას, რომელმაც მთელი თავისი მოლვაშეობა აქ გაატარა, 80 წ. აქ შრომობს, ჩვენს ქვეყანაში,—ეს კაცი, თურმე სრულიად მიულებელია ჩვენთვის. მე არავის ველაპარაკები ორიენტაციის საკითხისთვის ჩვენ არ გააქვს ისეთი საზომი, რომ მიუღვეთ კველა პირებს და ვკითხოთ: „თქვენ რა ორიენტაციის მომხრე ხართ“ ჩვენ საქვეს ვკითხულობთ,—რა გააკეთა. და, ასაკვირველია, თუ ის აშენად მოქმედობს ჩვენ წინააღმდეგ, თავის თავად აადია, იმას ადგილი არ ექნება ჩვენს დაწესებულებაში. მე არ მაქვს, ყოველ ერთხევაში იმისთვის აძლეოთ, ჩვენ სამინისტროში არ მოიპოვება იმისთვის სუხისმგებელი მოსამსახურე, რომელიც ჩვენ დამოუკიდებლობის და ჩვენ საკლმწიფოს არსებობის ჭინააღმდეგ აგატაციას ეწვევოდეს. მე ისეთი საბუთი ას მაქვს და როცა მექნება, რასაკირველია, იმის ჭინააღმდეგ კველა ჩვენ ანი მიიღებს ზომებს. რაც შეეხება კერძოდ ტიმოფეევს, ტიმოფეევი გახლავთ ტერიტორიი იმ პირთაგანი, რომელიც სწორედ ჩვენი ორიენტაციის მომხრეა, და სავარაუდოს ერთგული მუშავი არის (მათ: მიუღომელი მუშავი!).

არიან აქ სხვა მეცნიერებიც, სხვა მოღვაწეებიც (ხმა: მიშჩენკო) არიან



მიშჩენკო, მედვედევი და სსვანი. მე თვითეულ მათგანზე არ ვილაპარაკებულისა გასხვნებათ მხოლოდ შემდეგს: ყველა ეს ჩამოთვლილი მეცნიერები-სპეციალის-ტები, მუშაობენ ბოტანიკურ ბაღში. მათ მეცნიერულ ზრდმებს იცნობენ, და სარგებლობენ არა მარტო ჩვენში, არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიც. ეს, მე მგონია, საერთოდ საკმარისია იმისთვის, რომ ამ დაწესებულებას ჩვენ ყურადღებით, და სიფრთხილით მოვეცყრათ. მარტო ესაა საქმარისი, რომ ასე ყბად არ ავილოთ ეს დაწესებულება და არა ვთქვათ, რომ ისეთ ხალხს მოუყრია თავი ჩვენს დაწესებულებაში, რომელთაც არაფერო არ ესმის, და თუ მთავრელობას უწევთ შხოლოდ იმისთვის, რომ რუსები არიან, და ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არიანო. ეს და სხვა ასეთი ლპარაკი, მე სრულიად გაუცემდებრიდ მიმართია. მე მგონია, რომ ეს განხრას არის ჩადენილი, ეძნაიდან თქვენ კარგათ იცით, რომ შთავრობა, საერთოდ ჩვენი მთავრობა და კერძოდ, ჩვენი უწყება, ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, და ჩვენი სახელმწიფობრივი არსებობა განამტკიცონ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი უწყება გამოქვმნაგრძოდა ისეთ პირებს რომელნიც ჩვენა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიდიან.

მხოლოდ ეს კი არის,— მე წარსულ კრებაზე მოგახსენეთ და ეხლაც გავი-მეორებ, რომ ჩვენ უწყებისთვის ბევრი სპეციალური ცოდნა არის საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებს არ გვყავს სპეციალისტები, არ გვყავს იმდენი საკუთარი ძალები, რომ ყველა ამ საქმეს გაუძლვნენ.

აქ დასახელეს მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია რუ-სეთში და, რასაკვირველია, ჩვენშიაც; არ ვიცი რაზე იყო ეს დასახელება დამ-ყარებული. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ მე ოფიციალურად მიემართე, რომ დაგვეხმარებოდა ჩვენ უწყების საქმეში, სწორედ ამ დაწესებუ-ლების დასაყვნებლათ, რომელიც მის სპეციალობას შეეხება. აი ჩვენ გვაქვს რამოდენიმდე მშენენივრად მოწყობილი ფიზიკური ლაბორატორია, და მე ვთხო ვი, რომ მას ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაეწია. და მან თანხმობა განიცხად. ასე რომ აუ ქართველებში არიან სამეცნიერო ძალები, რომელნიც გამოდგებიან ჩვენ უწყებისთვის, ჩვენ იმათ ყოველთვის ვახმარიებთ და სამუ-შაოს ვაძლევთ. და როცა არ არის, მაშინ ნება მოგვეცით, რომ ჩვენ მოვი-წეოთ სხვა, უცხო ტომის ხალხი, რადგანაც მეცნიერები ყველა სასარგებლო-ნი არიან, და შეიძლება ზოგიერთი იმაზე მეტადაც, რამდენაც გუშინ იყვნენ საჭირონი. (ტაში სოც.-დემ. მხრიდან).

**თავშეჯდომარე.** წინადაღება არის შემოტანილი, რომ ამ საკითხზე კამათი იყოს შეწყვეტილი. ვის სურს სიტყვა ამის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? (კენჭის ყრა) კამათი შეწყვეტილი გახლავთ, და სიტყვა ეძლევა მომსხვენებელს.

**ნოე ცინცაძე.** (მომხსენებელი) მე შევეცდები, ამ საკითხს ჩამოვაშორო ისეთი ელემენტები, რომელთაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ და არც ჰქონიათ ამ საკითხთან.

ბ. ნუცუბიძემ მოითხოვა ჩვენგან საბუთები. საბუთი ბევრი იყო წამოუ-ნებული და ეხლა ამ საბუთებზე მოგახსენებთ თუ კი, რასაკვირველია, სურ-ლი გაქვთ ეს საბუთები გაიგოთ.

**წარსულ კრებაზე** და დღეს სხვათა შორის ლაპარაკი იყო პრინციპებზ-და ამ პრინციპიდან დაგიწყოთ სწორეთ.

არსებობს პრინციპი პედაგოგიურ მთლიანობის დასაცავად ყველა სასტა-ლებლების გაერთიანებისა. არსებობს ეს პრინციპი პედაგოგიურ ლიტერატუ-რაში. ბატონ ნუცუბიძეს უიცველად უნდა მოხსენებოდეს, რომ რეალიზაცია ა-

განხორციელება ჩვენი წარმოდგენით ემყარება მთლიანობის პროცესს. წუკობის ინტეგრარულ ნაწილში შეიძის აუცილებლად მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ამისთვის, ამ მიზნისთვის, მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის, უნდა მოეხსენებოდეს ბ. ნუცუბიძეს, აუცილებლად საჭირო სამეურნეო განათლების სასურველ დონეზე დაყენება და თავის თავად ცხადია ყველა ის. რაც უნდა შეადგინდეს ერთ მთლიან რამეს შეერთებული უნდა იყოს ერთ ორგანიზაციაში. აქედან, თავის თავად ცხადია, რომ ეს კავშირი არსებობს და ეს სრულიად გაუგებარია რად დახურდა ბ. ნუცუბიძეს იღუმალ კავშირზე ლაპარაკი... ბ. ნუცუბიძე ხელს აქვევს და არ ვიცი რას შეეხება ეს ხელების გაქნევა (ნუცუბიძე: ცოცხალი ვარ და ვაქნევ) მაშასადამე პრინციპი, ტენდენცია, პედაგოგიურ მთლიანობის დასაცავად, ყველა სასწავლებლის გაერთიანებისა, მაგრამ არსებოთად, მის რეალიზაცია არ ყოფილა არც ევროპაში, არც შეერთებულ ზტატებში და ეს გამომდინარეობს თვით სამეურნეო სკოლების ბუნებისაგან.

ეხლა გადავალ ამ საკითხის მეორე მხარეზე.

ამ საკითხის მეორე მხარე არის სწორედ ის, რაზედაც ამბობდა მიწათმოქმედების მინისტრი, სახელმობრ: მიზან შეწონილობა. ეს მიზან შეწონილობა ამ საკითხის გადაწყვეტაში უნდა დაიყიცათ. აქ იყო ლაპარაკი, რომ ჩვენ სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით, როდესაც განათლების სამინისტროს სამეურნეო სკოლებს ვედავებოდით. საქმე იმაშია, რომ აქ უკვე მოგახსენათ მიწათ-მოქმედების მინისტრმა, არსებობს პარატი, ცენტრალური იგრაძეული კომისია. ამ კომისიაში, როგორც ეხლა გამოირჩეა არიან სპეციალისტები, აგრონომები, როგორც ქართველები, ისე უცხოელი. მაშასადამე ამ აგრარულ კომისიას შეუძლიან გაუწიოს ხელმძღვანელობა ამ სამეურნეო განათლებას. მაგრამ ამ აგრარულ კომისიის დანიშნულება არის არა მარტო განათლების კომისიის ხელმძღვანელობა, მისი დანიშნულება არის საერთო აგრარულ ზომების გამომუშავება, და თავის თავად ცხადია, რომ ეს პარატი გადაეცეს განათლების სამინისტროს ხელში, წარმოუდგენერლი არის დღევანდელ პირობებში. სულ სხვა იქნებოდა, რომ განათლების სამინისტროში არსებობდეს ასეთი პარატი, რომელსაც შეეძლოს, მაგალითად, ამ საქმეს უხელმძღვანელოს. მე პირადად ვ აზრს დავადგებოდი, რომ, მაგალითად, ვაქრობა-მრეწველობის სამინისტროში არ არსებობდეს ისეთი პარატი, რომელსაც შეეძლიან განათლების საქმე უხელმძღვანელოს. მაშინ შეიძლება სავაჭრო სკოლები გამოერთვას და გადაუცეს განათლების სამინისტროს. რადგან ეს არ გამოიწვევდა დამატებითი ხარჯებს. თავის თავად ცხადია, თუ ჩვენ დავაძრისთვის ასეთი პარატი ფინანსთა სასინისტროში, ვაქრობა-მრეწველობის სამინისტროში, ეს დიდ ხარჯებს გამოიწვევს, მაგრამ აქ რომ არსებობდეს პარატი, რომელიც სხვა მიზნებსაც ემსახურება, მაშინ შეიძლება და დაწარმუნებული ვარ ეს მოხდებოდა, ჩვენ ამ საკითხის, ამ სკოლების განათლების სამინისტროში გადაცემის შესახებ არ მოვაყენებდით.

აქედან თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ ეს საკითხი არ გადაგვენდნიადგზე, რომელზედაც გადაიტანეს, განსაკუთრებით ბ. ნუცუბიძე და დამოუკიდებელ ფრაქციის წარმომადგენლებმა.

აქ ბატონებო, სხვა მოსაზრება არსებითი არ იყო წამოყენებული, კვირველია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მოსაზრებას, რომელიც სულ კრებაზე მოიყვანა ბ. ცემაპერმა.

ბ. ცემაპერმა ლაპარაკობდა დეკრეტზე და დამოუკიდებელ-ნაციონალ მოკრატების წარმომადგენელი სწორედ მიწის დეკრეტზე ლაპარაკობს, რაც ბე



კითხვები უნდა ჩამოვარდეს ლაპარაკი, აუცილებლად უნდა მოიხსენიონ ეს მეტენდენი წის დეკრეტი. ეს, რასაკირველია, ადგილად ასახსნელი არის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დამოუკიდებლებს უწოდებენ თავიანთ თავს, ყოველ შემთხვევაში მათი ასებობა. მჭიდროდ დაკავშირებულია და დამოკიდებულია ამ დეკრეტზე, ამიტომ არის, რომ ეს ესირად აგონდებათ ეს დეკრეტი.

თავშეჯდომაზე. ამ რიგად კამათი გათავებული გახლავთ. კენჭს უყრი, ვინ არის მომხრე, რომ მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი შეხლი.

**ნებ ცინცაძე.** (კითხულობს პირველ მუხლს) 1. ყველა უწყების სკოლები, განურჩევლად ტიპისა და ხარისხისა გარდა სამეურნეო სკოლებისა, გადადის სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში.

თავშეჯდომაზე. ვის წევავს სიტყვა პირველი შეხლის შესახებ? არავის. გახლავთ შემოტანილი ასეთნაირი წინადაღება, რომ პირველ მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: გარდა სამეურნეო სკოლებისა ეს წინადაღება შემოაქვს სოციალ-ფუნდრალისტის ფრაქციის წარმომადგენელს. ვინ არის მომხრე, რომ ამოიშალოს ეს სიტყვები? (ქვესტროს) გთხოვთ დათვალით. ამიშლის მომხრეა 23, წინააღმდეგი 43, რომ დარჩეს. მაშასადამე ეს შესწორება უარყოფილია.

პირველი მუხლი მიღებულია.

გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

**ნებ ცინცაძე** (კითხულობს მეორე მუხლს). 2. არსებობის სამეურნეო სკოლები, ან რომელიც მომავალში იქნებიან დაარსებული, — ექვემდებარებიან მიწათ-მედების სამინისტროს.

თავშეჯდომაზე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მეორე მუხლი მიღებულია. კენჭს უყრი საერთოდ ამ ქანონ პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

პირდღი საკითხის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ბ. ნუცუბიძეს.

**ზალგა ნუცუბიძე.** (ს.-ფ.) ბარონმა მინისტრია ძალიან ცუდად გაიგო ის, რაც მე აქ ვსთვევი. ამის ბრალი, რა თქმა უნდა მინისტრის თავზე არ არის, ეს ინფორმატორების ბრალია. ამიტომ ამ განცხადების გაკეთებას ჩემ მოვალეობათ ვსთველი.

უნდა განვაცხადო, რომ მე საკითხი ისე არ დამიყენებია, როგორც გადასცეს მინისტრის ძალიან ვწუხვარ, რომ ცუდათ გადასცეს, და სამართლიანობა დაამახინჯეს. კეშმარიტობის და სამართლიანობის აღსაღვენათ, საჭიროდ ვრაც გავიმეორო ის, რაც ვსთვევი.

მე უნდა განვაცხადო, რომ მე აქ შესახებ ტიმოფევევისა ვილაპარაკე იმდენად, რამდენადაც მხედველობაში მქონდა მინისტრის განცხადება, რომ მას ჰყავს მთელი რიგი მეცნიერებისა. ტიმოფევევი მხოლოდ ამ თვალსაზრისით გავარჩიო და არა მისი საქმიანობის და საიმედიანობის თვალსაზრისის მხრივ.

ეს ერთი. ეს უნდა! ცოდნიდა იმფორმატორს.

**მეორე:** რაც შეეხება ბ. ქურდიანს, მე ვსთვევი, რომ საჭირო შეიქმნა, რომ საქართველოში დაარსდეს სატყეო ინსტრიტუტი და საქმეს სათავეში ჩაუდგეს ბ. ქურდიანი, როგორც მცოდნე. ამას მე დაისძინე: ვშიშობ, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება არა ბ. ქურდიანი, არამედ ბატონი მიშჩენე. რომ ეს ასე არის ამას გვაცნობებს ის გარემოება, რომ პროფესიონალი ქურდიანმა წინადაღებით მიმართა უნივერსიტეტის საბჭოს, რათა უნივერსიტეტში იყოს გახსნი-



ლი სატყეო ინსტიტუტი. აქედან, თავის თავად ცხადია, რომ მან მიწადუმშემკუთხა  
შეფეხბის სამინისტროში სამისიო თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. ეს უნდა ვითქიქ-  
როთ, ზეპველად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ მოგვმართავდა.  
ეს მეორე.

მესამე და ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება, ამ პირების შე-  
სახებ ის გახლავთ, რომ მინისტრი არ შეეხო იმ პირებს, რომლებსაც მე ყვე-  
ლაზე უფრო შევეხე. ესენი არიან: მიშჩენკო და სოსნოვსკი.

**თავმჯდომარე.** უმორჩილესად გთხოვთ არსებითად საკითხს ნუ შეეხებით.

**შალვა ნუცუბიძე.** მე ვსოდე: მიშჩენკოზე და სოსნოვსკიზე, რომ მათ  
არა აქვთ არავითარი მეცნიერული ხარისხი. ეს მინისტრმა ვერ დაარღვია,  
მაშასაღამე აქ ჩემი დებულება ძალაში ჩერება.

„მიშჩენკო აწინმოებს ჩვენ წინააღმდეგ აგიტაციას“.

ამ შემთხვევაში, მინისტრმა მხოლოდ ეჭვი გამოსთქვა. საბუთი არაფერი  
მოგვიყვანა. მე კონკრეტული განცხადება გავაკეთე და ინურმატორებმა კი...  
(ხმაურობა. ლომთაობიძე: სტენოგრაფიიდან ვნახავ და ანგარიშს ისე მოგცემ).  
სჩანს ბ. ლომთაობიძე, რომ ინფორმატორი თქვენ ყოფილხართ.

აგრეთვე ბოტანიკურ ბალის ხელმძღვანელის შესახებ ერთი სიტყვა ვერ  
სთქვა. ბ. მინისტრმა (წმა: ეს კამათი გახლავთ) ეს გახლავთ ის სოსნოვსკი, ბა-  
ტონი ნათაძე, რომელიც თანამდებობს და ცენტრული შრომა კი სულ სხვა  
საკითხზე აქვს დაწერილი. ამის შესახებ კი ბატონმა მინისტრმა არაფერი  
სთქვა. (ხმაურობა).

**თავმჯდომარე.** უმორჩილესად გთხოვთ არსებითად ნუ შეეხებით საკითხს.  
გთხოვთ განაგრძოთ.

**შალვა ნუცუბიძე.** ამ რიგათ ი სამი დებულებიდან, რომელიც განვა-  
ცხადე, ორი ყალბად იყო გაეცემული და მინისტრი არ შეეხო მათ, ხოლო მე-  
სამის წინააღმდეგ ბატონმა მინისტრმა ვერაფერი საბუთი ვერ წარმოადგინა.  
უსათუოდ ამის ბრალი ის არის, რომ იგი გუშინ გახდა მინისტრად. (ნინიძე:  
თქვენ როდისლა გახდით პროფესორად?) აქ თქვენ არ მიმიღეთ.

### კანონ-პროექტი პირველდაწყებითი სახავლებლების გახსნის შესახებ.

**თავმჯდომარე.** შემდეგი კანონ-პროექტის მომხსენებელი ცინკაძე.

**ნორ ცინკაძე.** მოგეხსენებათ ბატონებო, აღმოსავლეთ საქართველო, სწავ-  
ლა-გენათლების მხრივ, მეტად ჩამორჩენილია დასავლეთ საქართველოსთან შე-  
დარებით. იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოში 100 მცხოვრებზე მოდგრა  
ერთი სკოლა, აღმოსავლეთ საქართველოში 500 მოდის-სხე მხოლოდ ერთი. ამი-  
ტომ კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაკიოს რასაკირველია  
აღმოსავლეთ საქართველოს და ეხლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ,  
რაც შეიძლება მეტი სკოლები გინებას აღმოსავლეთ საქართველოში.

თავის თავად ცხადია გათანასწორება, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს დასავლეთ საქართველოსთან ეხლანდელ პირობებში მეტად ძნე-  
ლი იქნება. ამისთვის საქირო იქნება, რომ ეხლავე გაგვეღლ 400 სკოლა. მაგ-  
რამ ეს ეხლანდელ პირობებში შეძლებელია და ამიტომ შემოგვაჭვს ეს კანონ-  
პროექტი, რომ გაიხსნას 87 პირველდაწყებით სკოლები აღმოსავლეთ საქართ-  
ველოს სხვა და სხვა კუთხებში, და განსაკუთრებულით იმ მაზრებში, რომელიც  
სრულიად დაშორებულია კულტურულ ცენტრისაგან, რეინის გზიდან. ასეთი



გაზრები არის, დუშეთის, თიმონეგის, გორის მაზრის ნაშილი, და აგრეთვე თელავის და სიღნალის მაზრები. ამაში მდგრადებელს მთელი ჩვენი კანონ-პროექტი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის ფალავას.

აკა? ფალავა (ს.-უ.). ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ საყოველთაო და უფასო განათლება ეს ის სანატრელი საგანი არის, რომლისთვისაც ყველა სო-ციალისტური პარტიები იბრძოლნენ, მაგრამ სამწუხაროდ და სავალილოდ, დღევანდელი ობიექტიური პირობები არ გვიყიყობენ ხელს, რომ დაუყონებლივ ეს შრახანი ჩვენ განვახორციელოთ. მიუხედავად ამისა, ჩვენი განათლების სა-მინისტრო ჟკვე, შეძლების და ვვარად, შეუდგა ამ დებულების განხორციელე-ბას შესძლებელ ფარგლებში. დღეს ჩვენ წინაშე არის ამ სამინისტროს კანონ-პროექტი სასკოლო კომისიისაგან მოწონებული. მართალია, ეს კანონი სიეს-ბით ისე არ ხორციელდება, როგორც სასურველი იყო, მაგრამ ამის მიზეზი თქვენ მოგეხსენებათ. მხოლოდ სახალხო განათლების საერთო ქსელის განხორ-ციელებას, წინასწარ დიდი მუშაობა სჭირია და ამ მხრივ განათლების სამინი-სტროს დიდი მუშაობა მიმართულია კიდეც. ჩვენ დაგრჩენია ვისურეოთ, რაც შეიძლება ამ სურვილს მაღლ შეესხას ხორცი.

დღეს-დღეობით, მომხსენებელმა მოვითითათ იმაზე, თუ რა დიდი განსხვა-ება არის აღმოსავლეთ ტ დასაკლეთ საქართველოს შორის განათლების მხრივ ამის მიზეზი ბევრი სურ და მათ გამოკვლევას დღეს ჩვენ არ შეუდგებით, მაგ-რამ ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტია, რომ დასაკლეთ საქართველოში 100 მცხოვრებლებზე მოდის ერთი სკოლა, მოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში 500 მცხოვრებლებზე ერთი. და მეორე ის, რომ ქუთაისის გუბერნიაში არის 833 სახალხო სკოლა, მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 470 და მესამე კადეც ის, რომ რიცხვი ამ კულტურულ მომუშავე არისა, რომელსაც დიდი მოვალე-თბა აწევს და რომელსაც სახალხო მასწავლებლები ეწოდება, შეადგენს ქუთა-ისის გუბერნიაში 1736, მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 790.

ი ყოველივე ეს გვაიძულებს ჩვენ და განათლების სამინისტროს, უპირვე-ლეს ყოვლისა თავისი ყურადღება მიაქციოს ტფილისის ჯუბერნიას და პირველ რიგში დღესვე გაიხსნას ის კულტურულ შეგნების კერები, სადაც ეს უფრო სა-ჭიროა. და ამ მხრივ განათლების სამინისტრომ სწორედ მიაქცია ყურადღება ისეთ მაზრებს, როგორიც არიან დუშეთის, თიონეთის, გორის მაზრები, ბორ-ჯომის ხეობა. ჩვენ, რასაკვირველია, სიამოვნებით ვეგებებით ამ კანონ-პრო-ექტს, ვიზიარებთ მას სახეებით და მხარს უკერთ მის ცხოვრებაში გატარებას რაც შეიძლება დაჩქარებით, რადგანაც თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებას.

ჩვენ ყველანი დაიმედებული ვართ სახეებით, რომ საქართველოს პარლა-მენტი შესძლებს მოკლე ხანში მთელი რესპუბლიკა სკოლების ქსელით მოფინოს და ამით საბოლოოდ განატკიციოს და დაამკიდროს ის თავისუფალი წყობილე-ბა, რომელიც ჩვენთვის სანატრელი და სანუკერი არის.

თავმჯდომარე. ამ რიგად კამათი მოსპობილი გახლავთ. ვინ არის წინა-იღმდევ, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე გთხოვთ ასწიოთ ხელი? გა-დავდიგართ მუხლობრივ განხილვაზე. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს პირველ მუხლს) 1. გაიხსნას ტფილისის გუ-ბერნიაში 37 ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინასაღმდევი ამ მუხლისა? არავინ.

მეშასაღმდე ეს მუხლი მიღებულია.



გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

შომხსნენებელი (კითხულობს მეორე მუხლს). 2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 ბრავალ რიცხვიან. სოფლის სკოლაში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

შომხსნენებელი (კითხულობს მესამე მუხლს). 3. გაეხსნას განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახავად ას ოცდა ერთი ათასი ოთხის ორმოცა (121,440) განეთი.

ნება მომეცით გადავიდე ხარჯთ-აღრიცხვაზე. და თუ ის მიღებული იქნება, მაშასადამე მიღებული იქნება მესამე მუხლი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ ხარჯთ-აღრიცხვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ ხარჯთ-აღრიცხვა.

შომხსნენებელი. (კითხულობს) ხარჯთ-აღრიცხვა პირველ დაწყებითი სკოლებისა. მასწავლებელი ახალი სკოლისა 37. ჯამაგირი წლიურად თვითეულს 4,800 მან., ჯამაგირი წლიურად ყველას 177,600 მან., ყველის სექტემ. პირველიდან წლის დამლევამდე 59,200 მან.

მოსამასახურე 37. ჯამაგირი წლიურად თვითეულს 120 მ., ჯამაგირი წლიურად ყველას 4,440 მან., ყველის სექტემ. პირველიდან წლის დამლევამდე 1,480 მან.

სამეურნეო ხარჯი 37 სკოლისათვის ჯამაგირი წლიურად 8880 მ. ყველის სექტემ. პირველიდან წლის დამლევამდე 2,960 მან.

37 სკოლის მოსაწყობად ყველის სექტემ. პირველიდან წლის დამლევამდე 37,000 მან.

მეორე ნაწილებელი უკვე მომქმედ სკოლაში 13. ჯამაგირი წლიურად თვითეულს 4,800 მან., ჯამაგირი წლიურად ყველას 62,400 მან., ყველის სექტ. პირველიდან წლის დამლევამდე 20,800 მან.

სულ ჯამაგირი წლიურად ყველას 253,320 მან., ყველის სექტ. პირველი. დან წლის დამლევამდე 122,440 მან.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ? არავის. მაშასადამე მესამე მუხლი მიღებულია. ეხლა კენტს უყრი საერთოდ კანონ-პროექტის. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა კომისიის.

შემდეგი მომხსნენებელი დიომიდე თოფურიძე.

საფინანსო კომისიის დადგენილება შექარზე ერთდროულ გადასახდის დაწესების კანონ-პროექტის უარყოფის შესახებ.

დიომიდე თოფურიძე. ფანანსთა უშესებამ შემოტანა კანონ-პროექტი შასახე ერთ დროული გადასახდის დაწესების შესახებ. სამინისტროს აზრით უნდა იყოს შემოლებული ერთი მანეთი გირვანქაზედ, რადგანაც, როგორც მოგეხსნებათ, ჩვენ მეტის მეტად შევიწროებული ვართ. და, რასაკუირებელია უნდა ვეძითი ყოველნაირი სახსარი, რომ რამენაირად ჩვენს ხაზინას ფული შემოვიდეს.

მაგრამ კომისამ ვერ 1 ცნო მისაღებად ეს კანონ პროექტი და ის რა მოსახლებით: შექარი არის სწორედ ისეთი საქონელი, რომლის გადეირება, რომელზედაც ფასის მიმარტება, ისეთივე ძნელია, როგორც პურზე და სხვა საქო-



ნერგზე, ამიტომ კომისიამ უარყო ეს კონკ-პროექტი, და გადასცვიტა უკანველი დაებრუნებია იგი, როგორც მიუღებელი.

ებლა გამოირკვა, რომ თურქები სამინისტრო უკვე ახდევინებს მანეთს ზედ-  
მეტს, და შემოსავილი უკვე დეპოზიტშია შეტანილი. მაშინ, როდესაც ჩეკენ კა-  
ნონ-პროექტი გადმოგვცეს ჩეკენ არ გვექნდა ეს ცნობა, რომელიც ებლა არის.  
და ამის შესახებ კომისიას შსჯელობა არ ჰქონია, თუ როგორ მოექცევა საფრ-  
ნაოს უწყება უკვე აღებულ გადასახადს, რომელიც უკვე დეპოზიტშია შეტანი-  
ლი. ყველა ამ მოსაზრების გამო, საფრინანსო კომისიის სახელით მოვითხოვ,  
რომ ეს კანონ-პროექტი უკანვე იქნას დაბრუნებული.

თავშიჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. ფინანსთა მინისტრს ურულს.

ფინანსთა მინისტრი გიორგი უშაული, ბაზონები, მე ჩემს თავს ნებავს მიუკეთდეთ განვიცხადო, რომ ვერ დავეთანხმები იმ მოხსენებას, რომელიც ეხლა იყო წარმოთქმული, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წარმომადგენლის მიერ.

მთავრობამ, როდესაც ეს კანონ პროექტი შემოიტანა აქ, არ ჰუსტდა, მას სახეში არ ჰქონდა ამ კანონ-პროექტით დაგეანანებინა ისეთი გადასახადი, რომლის უარყოფა, შემდეგში შეეძლებელი ყოფილიყო. პირიქით, მთავრობა საექსპირი იზიარებს იმ აზრს, რომელსაც ადგია თითქმის ყველა აქ მყოფ; პარტია, რომ არა პირდაპირი გადასახადი არ უნდა იყოს შემოღებული ან სრულად, ან ძალიან იშვიათად უნდა იყოს მიმართული მისდამი ჩვენი ყურადღება. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი აქტინდელი ფინანსური მდგომარეობა, და ვიცით ის აუარებელი ხარჯები, რომელიც მოსდის ჩვენს სახელმწიფოს, ამ უმაღ ჩვენ ვერ ვცანით შესაძლებლად უარი ისთვევათ ამნაირ არაპირდაპირ გადასახადზე, რადგანაც ეს, ყოველ შემთხვევაში, გვიქადის ასე თუ ისე საკმაო თანხის აღებას სახელმწიფოს ხაზინისათვის, რომელიც ჩვენს უმშეო მდგომარეობას მართლა დახმარებას აღმოაჩენს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თუ ვიქმნიებთ მხედველობაში მხოლოდ იმ ჯაშს შექრისას, რომელიც ამ კანონ-პროექტის შედგენის დროს გვერნცა მიღებული, ყოველ შემთხვევაში ეს ჯამი შექრისა მოგვცემს 2 მილიონ 800 ათას მანეთს. და ჩვენთვის ეხლა, როდესაც წყარო შემოსავლისა ძალიან ნაკლებია, თქვენ-დამეთანხმებით, უარის თქმა ამ 2 მილიონ 800 ათასზედ სრულიად უდროო იქნებოდა.

რასაცვირველია, როდესაც დაგვიღება ისეთი დრო, როცა შევძლებთ  
სხვაგან გამოვნიხოთ წყარო ხაზინის შემოსავლისა, სულ პირველი ჩვენ ვიტ-  
კებით უარს ა სწორედ ასეთ არაპირდაპირ გადასახდებზე, რომელიც ეხება  
ისეთ ნივთს, ისეთ საგანს, რომელიც შეადგენს ხალხის პირველმოთხოვნილებას.

ამ ხაბიჯის გადალებმა ჩევნ გაგვაძელვინა კადევ იმ გარემოებამ, რომ ებლა, იმ ხანაში, რომელსაც ჩევნ განვიცდით დღეს, ერთვარი შეფისება მოხდა ამ დარღვევი, ფული დაგროვდა იქ, სადაც წინად არ გვიგულებოდა, და სადაც ფული იყო, სწორედ ისინი განვიცდიან საჭიროებას. ასე რომ არ არის მართალი საფინანსო კომისიის მოსაზრება, თითქოს ეს დაბალებს დიდს უქმდაყოფილებას მასსაში და არ აანაზღაურებს ფულის შემოსვალს. ამ უამად მაინც იმ შიში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. დღეს ჩევნ ისეთ ხანას განვიცდით, როდესაც, თევენ ეს ჩემსხვევა ნაკარგებ არ იყო, სწორედ იქ არის ფული დაგროვილი, სადაც არ იყო, და თითო გირვანქაზე ერთი მანეთი გადასახადის დადება, რომისაც ის მანითი დაკმიტონია. სრულიად უმნიშვნელონ და მისაღები არის.

საბიუჯეტო კომისიის მომსხვენებელმა თქვენ მოგხსენათ, ვინაიდან ეს სწორედ ის ხანი იყო, როდესაც ახალი განაშილება შაქრისა ხდებოდა. ჩვენ უკი შემოვიწერთ ეს, მით უშენტეს; რომ შაქარზედ ფასის დამატებამ არავითარი

უქმაყოფელება, ჩვენს საზოგადოებაში არ გამოიწვია. ეს ფოლი დეპუტატთა მიერაცხოვდა არის შენახული და ჩვენ ველით დღითი დღე, როდის დაკანონებთ და მაშინ მხოლოდ შეეტანთ ჩვენ მას ხაზინაში. ეს ცდა აგრეთვე პირდაპირ არის მაჩვენებელი იმისა, რომ აյ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომელსაც შეეძლო გამოიწვია რაიმე უქმაყოფილება ჩვენ საზოგადოებაში. თუ ჩვენ ამ პირები ხანში, როდესაც ჩვენ სახელმწიფოს ვაჭყობთ, უარს ვიტყვით ისეთ გადასახადშე გაშინ როდესაც ჩვენ ბიუჯეტის შედეგენა მოვინდება ველარ ვნახავთ წყაროს ბიუჯეტის შესადგნად. ხაზისმით უნდა მოვითხოვო, რომ ამაზედ მაინც უარი არ სთქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება მომასწავებელი იმისა, რომ საზოგადოდ თქვენ გვერდს აუხვევთ არაპირდაპირ გადასახადს თუ ჩვენ ისევილაპარაკეთ, რომ ჩვენს ხალხში ეს გადასახადი უქმაყოფილებას გამოიწვევს, მე უნდა მოვახსეროთ, რომ არც ერთი გადასახადი არ მეგულება, რომელიც კმაყოფილებას იწვევდეს ფართე საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ ამაზე დამყარება ხომ არ შევიძლიან. საზოგადოდ, როდესაც ჩვენ ბიუჯეტის და ხარჯის გაძლილას შეუდევით, დავინახავთ, რომ საბიუჯეტო საფინანსო უწყბას მხოლოდ ორი საშუალება ექნება: ერთი - გადასახადების აკრეფა და შეორე, როდესაც ეს არ გვეყოფა, სესხის აღება. როგორც ერთ მხრივ, ისე შეორე მხრივ, რაც ბუნებრივია პირველ ხანაში, ჩვენთვის ძალიან მძიმე მდგომარეობა არის და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ იმ მოსახრებით, თითქოს მას შეუძლიან გამოიწვიოს ხალხში რაიმე უქმაყოფილება, ჩვენ უარვყოთ ეს კანონ-პროექტი.

გაიხსენეთ, ბატონებო, რომ არც ერთი სახელმწიფო, სადაც საუცხოოდ აქვთ გათვალისწინებული ის თეორეტიული მოსახრება. რომ არა პირდაპირი გადასახადები არ უნდა იყოს შემოღებული, არც ერთი სახელმწიფო არ არის ისეთი, რომელიც ასეთ გადასახადს არ ახდევინებდეს. დიდ სახელმწიფოს აიღებთ, საშუალოს, თუ პატარა სახელმწიფოს, სულ ერთია, სუკველა ერთნაირად იღებს ამ გადასახადს ისე, როგორც ჩვენში. რუსეთში მაგალითად ამნაირი გადასახადი მოედლი შემოსავლის 50—55% უდრის.

